ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

## სალომე ზურაბიშვილი: „ირაკლი შოთაძე უნდა მოეხსნათ, სანამ გადადგებოდა“

გვ.4



5 ივნისიდან

გილბერტ ჩესტერტონი

მამა ბრაუნის სკანდალური ამბავი

სერია ნამდვილი დეტექტივი

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი



ხუთშაბათი, 7 ივნისი, 2018 №133 (7678) ფასი: 50 თეთრი

# ვინ აწვდიდა ზვიად კუპრავას მირზა სუბელიანზე სკანდალურ ინფორმაციებს



გვ.4

„არ ვიცი, არიან თუ არა ისინი „ქართული ოცნების“ წევრები, მაგრამ ვიცი, რომ წვდომა აქვთ ბევრ რამეზე“

## გიორგი ვაშაძე: „ზაზა სარალიძეს ჩვენ ვურჩიეთ, რომ კვირიკაშვილს შეხვედროდა“



მოთხოვნებს ჩვენ არ ვაყენებთ. მოთხოვნებს აყენებენ შვილმოკლული მამები

გვ.2

ხელისუფლება უკიდურეს ზღვარზეა მისული





## მიმდინარეობს თუ არა „ევროპული საქართველოსთვის“ ხელისუფლების გადაბარება

უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი დროებითი საგამოძიებო კომისიის შემადგენლობას იწუნებს

გვ.3

რომან გოცირიძე: „ერთხელაც შემოვარდება ხალხი პარლამენტში და დაიძახებს — კაა“



### სამართალი

გვ.7

მაგდა პაპიძემ ის პოლიციელები აღწერა, რომლებმაც მასზე იძალადეს



ზვიად დევდარიანი 8 ქალის წინააღმდეგ: „2 დღეში დავასახელებთ იმ პირებს, ვინც მიზანმიმართული კამპანია დაგეგმა“



პროკურატურამ არჩილ ტატუნაშვილის საქმეზე კვალიფიკაცია დაამძიმა





### ეკონომიკა

გვ.4



რაში სჭირდება თელავის მუნიციპალიტეტს გერმანული ხარის სპერმა



მეტროს გათიშვის გამო ზარალი შესაძლოა 100.000 ლარამდე იყოს

ჰიდროენერგეტიკის გაუმჭვირვალე მემორანდუმები და საეჭვო დეველოპერები

გვ.6



ISSN 1987-9385

8 ლუცენკო: „უკრაინაში 47 ჟურნალისტი უნდა მოეკლათ“

5 ყაზახეთი აღნიშნავს თავისი ქვეყნის დედაქალაქის 20 წლის იუბილეს

5 „სტრატფორი“: „აშშ-რუსეთის დაპირისპირებაში საქართველოს როლი იზრდება“

8 კარინსკის თვითმფრინავში აფეთქების კვალი აღმოაჩინეს

# გიორგი ვაშაძე: „ზაზა სარალიძეს ჩვენ ვურჩიეთ, რომ კვირიკაშვილს შეხვედროდა“

## მოთხოვნებს ჩვენ არ ვაყენებთ. მოთხოვნებს აყენებენ შვილმოკლული მამები

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ახალი საქართველოს ლიდერი გიორგი ვაშაძე პასუხობს.

***– ბატონო გიორგი, კონკრეტული მოთხოვნით დაწყებული აქცია, გამოძიებულიყო ხორავას ქუჩის საქმე, დასჯილიყვნენ დამნაშავეები, ვხედავთ, რომ სრულიად სხვა მოთხოვნებში გადაიზარდა. უკმაყოფილოა ხელისუფლებაც, ულტიმატუმის ენით გველაპარაკებიანო. პოლიტიკური დატვირთვა მიიღო ამ ყველაფერმა. რას იტყვით თქვენ?***

– პოლიტიკური დატვირთვა ამ პროცესს თავისთავად აქვს და ჰქონდა თავიდანვე. არანაირი განსხვავებული მოთხოვნები არ ყოფილა, რასაც ეს შვილმოკლული მამები აყენებენ, ზუსტად ის მოთხოვნებია.

***– თუმცა, თქვენ ითხოვთ მაღალი თანამდებობის პირების გადადგომას.***

– დიახ. არასამთავრობოებმაც გააკეთეს განცხადება წულუკიანთან დაკავშირებით და ხედავთ, რამხელა დაცინვაა პრემიერის ფეისბუქ გვერდზე იმის პასუხთან მიმართებაში. ეს გზავნილი, რომელიც სუს-ს და „ქართულ ოცნებას“ აქვს შემუშავებული, არ იმუშავებს. საზოგადოებას ძალიან კარგად ესმის, რომ აქ არის კონკრეტული ადამიანების პრობლემა. ეს ადამიანები აყენებენ საკითხს, რომ მათთან მიმართებაში ხელისუფლებამ ჩაიდინა დანაშაული. მოსამართლის გადაწყვეტილებას მოყვა საბოლოო მღელვარება. მოსამართლემ თქვა, რომ არც ერთი ბრალდებული არ არის სარალიძის მკვლელი! ეს ფაქტობრივად საგანგაშო სიტუაციაა. მე ვუსმენ ამ ადამიანს და ვიზიარებ იმას, რასაც ეს კაცი ითხოვს.

***– ის ითხოვს, მთლიანად სისტემა დაინგრესო.***

– დიახ, ის ითხოვს, რომ ეს სისტემა, რომელმაც ის ამ დღეში ჩააგდო, თავიდან ბოლომდე უნდა დაიშალოს და დაინგრეს! აქ საუბარი აღარ არის მკვლელების დაკავებაზე! აქ საუბარია ყველა იმ ადამიანის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემაზე, რომელიც მონაწილეობას იღებდა ამ საქმის გაყალბებაში, მკვლელებზე ხელის დაფარებაში!

***– საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც არც ხელისუფლების მომხრეა და არც ოპოზიციის, ფიქრობს, რომ სათავისოდ გამოიყენა გარკვეულმა ჯგუფებმა ზაზა სარალიძის ტრაგედიაო და პოლიტიკური დატვირთვა შესძინა ამ პროცესსო.***



– აბსოლუტურად არ დავეთანხმები ამას. მე პირადად აქტიურად ჩავერთე ამ პროცესში მას შემდეგ, რაც მოწოდება იყო, რომ პოლიტიკოსები შეერთებოდნენ. ის პოლიტიკოსები, რომლებმაც საპირისპირო განცხადებები გააკეთეს, პირდაპირ ვამბობ, კეკლუცად იდგნენ და პირდაპირ ეთერებში ერთვებოდნენ აქციიდან. მე, პირადად, როგორც ახალი საქართველოს ლიდერი, არც ერთ ტელევიზიასთან აქციიდან არ ჩავრთულვარ, სანამ არ იყო პირდაპირი მოწოდება, რომ აქციაზე მისულიყვნენ პოლიტიკოსები და დახმარებოდნენ ამ ადამიანს. ერთადერთი, რასაც ვაკეთებდი, ჩემ მოქალაქეობრივ ვალს ვიხდიდი, მივდიოდი ჩუმად და გამოვდიოდი ჩუმად. კომენტარსაც კი არ ვაკეთებდი იმ ტერიტორიიდან. ნაციონალებს გადააბრალეს ყველაფერი, მარტო ნაციონალები რა შუაშია?!

***– ყველაზე მეტად ისინი აქტიურობდნენ.***

– ჩვენც ამ კაცის გვერდით ვართ. მე ახალი საქართველოს წარმომადგენელი ვარ, იქ იყვნენ ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენლები. 12 პარტიის წარმომადგენლები იყვნენ ლეიბორისტების ოფისში რომ შევიკრიბეთ. ეს არის მიზნობრივი პროცესი. ერთადერთ გზას ამაში ხედავს ხელისუფლება, რომ რამენაირად დააზარალოს ეს პროცესი. აქვე გეტყვით, რომ არა პოლიტიკოსების ჩართულობა, ეს საქმე კარგა ხნის მიჩქმალული იქნებოდა! სამოქალაქო სექტორს არ ჰქონდა ამაზე სათანადო რეაგირება. დღეს ეს სექტორი ან მიკერძოებულია, ან არაპროფესიონალიზმის გამო ვერ აქცევს სათანადო ყურადღებას მსგავს საქმეებს. პოლიტიკური პარტიების დამსახურებაა ნამდვილად, რომ საზოგადოებამ ამ საქმეებზე ხმამაღლა დაიწყო საუბარი და ხელისუფლებას მოთხოვნები წაუყენა! რომ არა პოლიტიკოსებთან ამ ადამიანის მისვლა, სამოქალაქო სექტორმა წაუყრუა ამ საქმეს.

***– მარგინალიზაცია მოხდა ამ პროცესის, ყველას დაავიწყდა მიცვალებულიც, შვილმკვდარი მამაც და მხოლოდ რევანშისტული განცხადებები ისმოდაო.***

– მე ვფიქრობ, რომ ესე არ არის. ამის პასუხი იქნება კვირას ადამიანების შეკრება. ზაზამ განაცხადა, რომ კვირას უნდა გაიმართოს დიდ აქცია. ეს ხელოვნურად ხდება ამ პროცესზე ამ კლიშეების მიკერება. მარგინალიზაცია როგორ უნდა მოხდეს?! შევხედოთ მეორე მხრივ, არის კატასტროფული სიტუაცია. მარტო ზაზა სარალიძე არა, იგივევე მალხაზ მაჩალიკაშვილი, რას ითხოვს ეს კაცი? ჩემის შვილის მკვლელები დაისაჯონო. აქ კიდევ უფრო სხვა სიტუაციაა. მის ახალგაზრდა შვილს საერთოდ ტერორისტობა დააბრალეს. ლიმონკა ჰქონდაო ლოგინში, თურმე მძინარეს. აქ მარტო სპეცრაზმელის დასჯაზე კი არ არის საუბარი, აქ საუბარია ყველა იმ პირზე, ვინც ეს სპეცოპერაცია დაგეგმა, ვინც ეს დავალება გასცა და ვისაც ხელს აფარებენ! მთელი მედია რესურსი, მთელი ეს ფეისბუქში დაქირავებული ადამიანები, მაქსიმალურად შეეცადნენ, რომ გადაეტეხათ ეს თემა, რომ თითქოს და ეს იყო პოლიტიკური და არა კონკრეტული ადამიანების დარღვეული უფლებების აღდგენა.

***– არ გამოუვიდათ?***

– ვერ გამოუვიდათ. იმიტომ, რომ ორშაბათი დღე იყო ამის ძალიან კარგი პასუხი. ორშაბათ დღეს კონტრაქცია შეკრიბა ხელისუფლებამ. აღარავის ეპარება ეჭვი, რომ მათი პოლიტიკური პარტიის წევრები იყვნენ, სადაც ასევე მივიდა ზაზა სარალიძე და ფაქტობრივად, გამოაგდეს ის კაცი იმ ადგილიდან. ხელი ჰკრეს, ლომჯარიას აგინეს და რა აღარ ხდებოდა. ყველა ფიქრობდა, ზუსტად ეგ იყო მათი მოლოდინი და კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. ეგონათ, რომ ჩვენ ავხტებოდით ტრიბუნაზე და გამოსვლებს დავიწყებდით. ჩვენ უბრალოდ მივედით ამ აქციაზე, მაქსიმალური მხარდაჭერა გამოვუცხადეთ და ვთქვით, რომ რაშიც იქნება საჭირო, აქა ვართ. შემდეგ შედგა ჩვენი საუბარი და სარალიძემ გადაწყვიტა პრემიერთან შეხვედრა.

***– თქვენ ურჩიეთ სარალიძეს პრემიერთან შეხვედრა?***

– პირდაპირ გეტყვით, რაღაც 10 წუთი გვქონდა მასთან საუბრის შესაძლებლობა და ვუთხარით, რომ პროცესის განმუხტვისთვის, არასწორი სახე რომ არ მიიღოს ამ ყველაფერმა, მოდი და შეხვდი პრემიერ-მინისტრს. მან თქვა, რომ მაშინ თქვენთან ერთად შევხვდებიო. ჩვენ ვუთხარით, რომ როგორც ის გადაწყვეტდა, ჩვენც ისე ვიმოქმედებდით. პრემიერმა რა გააკეთა.

***– რა გააკეთა?***

– უნდა შეხვედროდნენ ორივე მალხაზ მაჩალიკაშვილი და ზაზა სარალიძე. დილით გაკეთებულ განცხადებაში მაჩალიკაშვილი საერთოდ ამოაგდეს. ისევ და ისევ ჩვენი მეცადინეობით მოხდა, რომ მალხაზ მაჩალიკაშვილსაც შეხვდა. ზაზა სარალიძე პოლიტიკოსებთან ერთად შესვლას ითხოვდა, პირადად მივედი მასთან და ვთხოვე მას, რომ იქნებ მოხსნა ეს პოლიტიკური კომპონენტი და შენ შეხვიდე მარტო, ჩვენ გარეშე-მეთქი. ესეც ჩვენი გადადგმული ნაბიჯი იყო. მართლა არ ხვდებოდა ეს ადამიანი პრემიერ-მინისტრს, რომ არა ჩვენი დაჟინებული მეცადინეობა, რომ მომხდარიყო ეს შეხვედრა.

***– რა იყო ამ შეხვედრის შედეგი, რა გამოიტანა იქიდან?***

– ამ ადამიანს არანაირი ნდობა არ აქვს, რომ რამე შეიცვლება ამ სიტუაციაში. არც მას დ არც მალხაზ მაჩალიკაშვილს. სხვათა შორის, ზაზასთან არ მისაუბრია. მალხაზს ნამდვილად დავურეკე და ვესაუბრე. მან თქვა, რომ არაფერი არ მითხრესო. საერთოდ არაფერი არ უთხრეს ამ ადამიანს, უბრალოდ ის, რომ დავინტერესდებით ამ საქმითო, რაც არის ძალიან ცუდი პასუხი.

***– თქვენ კვირას დაგეგმილი აქცია ახსენეთ, აანონსებთ, რომ ხალხმრავალი აქცია იქნება. რამდენიმე ოპოზიციური პარტია კონსულტაციების რეჟიმში მუშაობთ. რას აპირებთ, რა მოთხოვნები გექნებათ?***

– მოთხოვნებს ჩვენ არ ვაყენებთ. მოთხოვნებს აყენებენ შვილმოკლული მამები. ეს უნდა გავმიჯნოთ! მე არ ვაყენებ მოთხოვნებს, რასაც მოითხოვს ეს ხალხი, მეც იმაში ვუდგავარ გვერდში. შესაბამისად, ეს არის ათ ივნისამდე ვადა, რაც თვითონ ზაზამ განაცხადა, ხელისუფლებას რა ვადაც მისცა, ვნახოთ, რა მოთხოვნებსაც დააყენებს ეს ხალხი, ჩვენ შევუერთდებით იმ მოთხოვნებს.

***– თუმცა იმაზეც საუბრობენ, რომ ზაზა სარალიძე კონსულტაციებს პოლიტიკურ პარტიებთან გადისო.***

– თვითონაც კარგად იციან, რომ ამ კაცს მობილური გათიშული აქვს. თქვენც ხომ კარგად გესმით, ჩვენ რომ მასთან კონსულტაციები გვქონდეს, ამაზე სუს-ი რამდენ მასალას გამოაგდებდა. პირდაპირ გეუბნებით, კანცელარიასთან რომ ვნახე, მის მერე არც მინახავს ზაზა, კომუნიკაცია არ მქონია მასთან. თვითონ ეს ადამიანები წყვეტენ, მალხაზი და ზაზა როგორც გადაწყვეტენ, ისე იქნება ეს პროცესი.

***– თვითონ ზაზა სარალიძისთვისაც მიუღებელი ხომ არ გახდა ამ ფორმის პროტესტი?***

– არ მგონია. პირიქით, ის კვლავ იგივეს იმეორებს, რომ ყველანი დამიდექით გვერდშიო. მეც სხვასთან ერთად ტელევიზიით მოვისმინე მისი განცხადებები.

***– ანუ კვირის აქციაზე პოლიტიკოსებიც იქნებით?***

– მე მივალ ამ აქციაზე აუცილებლად! თუ რამეში ჩემი მხარდაჭერა დასჭირდება, ყველაფერს გავაკეთებ.

***– თეა წულუკიანის გადადგომა დღის წესრიგში აქტიურად დგას. გაქვთ ამის მოლოდინი რომ გადადგება?***

– მე ვფიქრობ, რომ უკვე უკიდურეს ზღვარზეა ხელისუფლება მისული. თუ რაციონალური მარცვალი აქვთ, უნდა გადადგეს!

***– შექმნილია საპარლამენტო კომისია. ამ კომისიას არ ენდობით?***

– ეს სრული აბსურდია უკვე. როცა შვილმოკლული ადამიანი არ უცხადებს ნდობას ამ კომისიას და შენ რომ რაღაცას აკეთებ, ეს ჩვეულებრივად ხელისუფლების თამაშია და მეტი არაფერი!

***– ამ კომისიაში ოპოზიციაა უმრავლესობაში...***

– კარგით რა... თქვენც ხომ გესმით, რომ სასაცილოა ეს ყველაფერი. თავად მაგ კომისიაში მყოფმა უმრავლესობამ მასხრად აიგდო თავი. ვის უფლებებს იცავენ? ვინც ამბობს, რომ მე არ გენდობითო?! არ მჯერა, მაგ პროცესის და მაგ კუთხით ჩემი უფლებების დაცვისო?! საერთოდ ვერ ვხვდები, რა უნდათ და რას აკეთებენ. პრინციპში, ალბათ, ყველა ხვდება, მაგრამ ნუ...

***– მაგრამ რა, ხელისუფლების პოზიციას ამართლებენ?***

– ყველას აზრი ეგეთია. რა თქმა უნდა, ასეა!



ხელისუფლება უკიდურეს ზღვარზეა მისული

## იენს სტოლტენბერგი: „დარწმუნებული ვარ, მოკავშირეები ივნისის სამიტზე აღიარებენ საქართველოს პროგრესს“



ნატოს ახალი შტაბბინა დღეს თავდაცვის მინისტერიალს პირველად უმასპინძლებს. მინისტერიალზე საუბარი შეეხება სამხედრო მომზადების საკითხსა და ავღანეთის მისიას, რომელშიც ქართული ქვედანაყოფიც მონაწილეობს.

მინისტერიალის დღის წესრიგზე დღეს იენს სტოლტენბერგმა ბრიფინგზე ისაუბრა.

– სამიტზე აღიარებული იქნება საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესი რეფორმების გატარების თავდაცვისა და უსაფრთხოების ინსტიტუტების მოდერნიზების თვალსაზრისით. ეს ეხება კანონის უზენაესობას და იმასაც, რომ საქართველო განაგრძობს კორუფციასთან ბრძოლას. ზუსტად როგორ გავაკეთებთ ამას, ჯერ არ ვიცით, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მოკავშირეები ივნისის სამიტზე აღიარებენ საქართველოს პროგრესს, – განაცხადა იენს სტოლტენბერგმა.

მედიანიუსი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# მიმდინარეობს თუ არა „ევროპული საქართველოსთვის“ ხელისუფლების გადაბარება

შორენა მარსაგიშვილი

**ხორავას ქუჩაზე მომხდარი სისხლიანი გარჩევის გამოძიებას საკანონმდებლო ორგანო თავის თავზე იღებს. გუშინ, 6 ივნისს, პარლამენტმა დროებითი საგამოძიებო კომისიის შემადგენლობა დაამტკიცა. დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის ინიციატივით „ევროპული საქართველო“ გამოვიდა. თავიდან მეოცნებეებმა კომისიის შექმნაზე ცივი უარი განაცხადეს, მაგრამ როცა საზოგადოების აღშფოთება უკვე აშკარად გამოჩნდა, მთავარი პროკურორიც გადადგა და „ოცნება“ დათმობაზე წავიდა.**

მმართველი გუნდი დარწმუნებით აცხადებს, რომ დროებითი საგამოძიებო კომისია სიმართლეს დაადგენს. სულ სხვა მოლოდინი აქვს ზაზა სარალიძეს. შვილმოკლული მამა კარგა ხანია ამბობს, რომ ყველა მტკიცებულება განადგურებულია.

დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნას მხარი 95-მა დეპუტატმა დაუჭირა. წინააღმდეგი მხოლოდ 1 წავიდა.

კომისიის შემადგენლობა 17 წევრით განისაზღვრა. უმრავლესობასა და უმცირესობას შორის შეთანხმებით, კვოტების მიხედვით, 6 ადგილი კომისიაში ეკუთვნის უმცირესობას თავისი ფრაქციებით, ერთი ეკუთვნის „პატრიოტთა ალიანსს“.

კომისიის შემადგენლობაში არ იქნება ერთიანი ნაციონალური მოძრაობა. ისინი ამ მიმართულებით ჩართვაზე უარს ამბობენ. კომისიას სერგი კაპანაძე უხელმძღვანელებს.

საგამოძიებო კომისიაში „ქართული ოცნებიდან“ შედიან: არჩილ თალაკვაძე, ეკა ბესელია, მამუკა მდინარაძე, ანრი ოხანაშვილი, დიმიტრი ცქიტიშვილი და სოფო კილაძე.

საპარლამენტო უმცირესობიდან, კონკრეტულად კი „ევროპული საქართველოდან“ კომისიის შემადგენლობაში შევლენ: სერგი კაპანაძე, ოთარ კახიძე, ელენე ხოშტარია, ირაკლი აბესაძე, სერგო რატიანი, ირმა ნადირაშვილი, ხათუნა გოგორიშვილი, მამუკა ჩიქოვანი და გიგა ბოკერია.

პატრიოტთა ალიანსიდან ადა მარშანია და დამოუკიდებელი დეპუტატი – სალომე ზურაბიშვილი.

ბოლო პერიოდში „ოცნება“ და „ევროპული საქართველო“ ძალიან საეჭვოდ დაუახლოვდნენ ერთმანეთს. დროებითი საგამოძიებო კომისიის გარშემო კი კიდევ უფრო მჭიდრო კავშირში შევიდნენ.

ეს ყველაფერი იმდენად აშკარაა, რომ რაღაც ეჭვები საპარლამენტო უმრავლესობაშიც გაჩნდა. „ქართული ოცნების“ სკანდალურმა დეპუტატმა ისიც კი იკითხა, ხელისუფლების გადაბარება ხომ არ ხდებაო.

– ამ კომისიას ვქმნით მათი ინიციატივით. ამ ადამიანებს ისიც აღარ უნდათ, რომ წარსული გავახსენოთ. მათ მოთხოვნებს ვასრულებთ. შემთხვევით ხელისუფლების გადაბარებასაც ხომ არა აქვს ადგილი? – კითხულობს ჭიჭინაძე.

საზოგადოების დიდი ნაწილის მსგავსად, არც მას აქვს იმის ილუზია, რომ დროებითი საგამოძიებო კომისია ამ საქმეს გამოიძიებს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დავით ჭიჭინაძე პირველი იყო მმართველი პარტიიდან, ვინც 31 მაისს პირველმა მოუწოდა ირაკლი შოთაძეს, მთავარი პროკურორის პოსტი დაეტოვებინა.

მისი თქმით, პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისია ისეთი შემადგენლობით არის წარმოდგენილი, რომ საზოგადოებაში ნდობის გაჩენის ნაცვლად, უკურეაქციას გამოიწვევს.



## რომან გოცირიძე: „ერთხელაც შემოვარდება ხალხი პარლამენტში და დაიძახებს – კაა“

დეპუტატს იმის გარკვევაც სურს, თუ რა პრინციპით მოხდა კომისიის წევრების შერჩევა.

– დროებითი კომისია უნდა შექმნილიყო იმისთვის, რომ ხალხში ნდობა გაზრდილიყო. კომისიის სიითი შემადგენლობა ძალიან ბევრ კითხვას იწვევს. სიაშია ადამიანი, რომელსაც მრავალი წლის განმავლობაში ვეძახით, რომ არის არჩევნების მთავარი გამყალბებელი. ასე სახელობითად რომ გავყვეთ, კომისიის ყველა წევრთან მიმართებაში ჩნდება კითხვები. არა მგონია, ამ კომისიამ საზოგადოებაში ნდობა დააბრუნოს, – აღნიშნა „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა.

საპარლამენტო კომისიის შექმნას უარყოფითად აფასებს ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე რომან გოცირიძე. მისი განცხადებით, 6 ივნისს გამართულმა პარლამენტის სხდომამ საზოგადოება კიდევ ერთხელ დაარწმუნა იმაში, რომ ხელისუფლება მდგომარეობის სიმძიმეს ვერ აცნობიერებს.

– ხელისუფლება ვერ აცნობიერებს იმას, რომ მათი საფირმო ნიშანი უსამართლობა, ძალადობა და სიღარიბე გახდა. ამიტომ, ერთ მშვენიერ დღეს, ამ შენობას ხალხი მოადგება და დაიძახებს – „კაა“, – განაცხადა გოცირიძემ.

შეძახილი კაა საქართველოში ძალიან პოპულარული გახდა. ეს ადვოკატ ლაშა ცუცქირიძის დამსახურებაა. 2 ივნისს, პარლამენტის წინ გამართულ აქციაზე მან ყველასთვის მოულოდნელად დაიყვირა „კაა“.

მისმა თანაპარტიელმა სალომე სამადაშვილმა ის მიზეზები განმარტა, რის გამოც პარტიამ ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის გამოძიების მიზნით შექმნილ კომისიის მუშაობაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა.

ოპოზიციონერი დეპუტატი დარწმუნებულია, რომ საგამოძიებო კომისიის შექმნას არ ექნება რეალურად შედეგი.

სამადაშვილის თქმით, მან რამდენიმე კვირის წინ წარადგინა ინიციატივა, შექმნილიყო პარლამენტში საგამოძიებო კომისია, რომელიც შეისწავლიდა საქართველოში ჩატაევის შემოსვლას და ირიბად შეიძლება მისულიყო იქამდე, რომ შეესწავლა, რა პირობებში დაიღუპა თემირლან მაჩალიკაშვილი, რომლის მამა სამართლიანობას ითხოვს.

– ყოველგვარი დებატების გარეშე, ისე რომ, ამ დარბაზში პარლამენტის არც ერთ წარმომადგენელს ჩემთვის კითხვა არ დაუსვამს, რატომ წამოვაყენეთ ეს ინიციატივა, დაიბლოკა საგამოძიებო კომისიის შექმნის იდეა.

ახლა, როცა ათასობით ჩვენი მოქალაქე გამოვიდა თბილისის ქუჩებში და გვეუბნება, რომ ეს სისტემა არ მუშაობს მათთვის და მუშაობს მათ წინააღმდეგ, უმრავლესობას ამ გადაწყვეტილების მიღება მოუწია. როგორც ჩანს, შესაბამისი მითითებაც მიიღეთ თქვენი პოლიტიკური მმართველი ბიძინა ივანიშვილისგან, რომ პოლიტიკური კრიზისის განმუხტვისთვის თქვენი მოღვაწეობის ისტორიაში პირველად დათანხმდეთ, პარლამენტმა შეასრულოს საკუთარი საზედამხედველო ფუნქცია და შექმნას საგამოძიებო კომისია, – მიმართა ნაცმოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა „ქართული ოცნების“ დეპუტაციას.

ჩატაევის და პანკისის თემაზე საგამოძიებო კომისიის შექმნა რომ ჩააგდეს, ეს მეოცნებეებს რომან გოცირიძემაც გაახსენა.

მისივე თქმით, ხელისუფლება ხორავას ქუჩის საქმეზე საგამოძიებო კომისიის შექმნას მხოლოდ საზოგადოებრივი ზეწოლის შედეგად დათანხმდა, თუმცა შეეცდება, რომ ამ ხერხით საქმემ აქტუალობა დაკარგოს.

ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერმა იუსტიციის მინისტრის, თეა წულუკიანის გადადგომაც მოითხოვა. მისი თქმით, იუსტიციის მინისტრი შავი სამუშაოს შემსრულებელია.

– რამდენი ათასი ადამიანი უნდა გამოვიდეს ქუჩაში, რომ თქვენ იძულებული გახდეთ, შექმნათ დროებითი საგამოძიებო კომისია. ორი კვირის წინ ქალბატონმა სალომე სამადაშვილმა, რომელიც ამ ტრიბუნაზე იდგა, წარმოგვიდგინა მაჩალიკაშვილის მკვლელობასთან დაკავშირებით დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნა, რომელიც ერთსულოვნად ჩააგდეთ. ახლა თქვენ მეორე კომისიას უჭერთ მხარს.

რომ წარმოვადგინოთ ხელახლა, დაუჭერთ თუ არა მაჩალიკაშვილის მკვლელობასთან დაკავშირებით კომისიის შექმნას მხარს? რატომ ხდება კომისიის შექმნის სელექციური შერჩევა, ორივე შვილმკვდარი მამა ხომ ერთსა და იმავე მდგომარეობაშია, ანუ ეს კომისია იმიტომ იქმნება, რომ გაიძულათ საზოგადოებრივმა პროტესტმა, მაგრამ ამავე დროს გინდა გამოიყენოთ, როგორც ხრიკი, როგორც ფანდი ვითარების დეაქტუალიზაციისა და თქვენ მიერ შექმნილი უსამართლო და ძალადობრივი სისტემის გადარჩენისა.

ჩვენ კი არა, მთელი საზოგადოება და არასამთავრობო სექტორი ითხოვს წულუკიანის გადაყენებას. მინისტრი 6 წელია, შეუცვლელია. ყველა მინისტრი შეიცვალა, 5-ჯერ შეიცვალა ინფრასტრუქტურის მინისტრი და პროკურორი მეხუთეჯერ ინიშნება, მაგრამ ერთადერთი შეუცვლელი კადრი არის ქალბატონი წულუკიანი, რომელიც შავი სამუშაოს შემსრულებელია. მთელი ეს პროცესი მიმართულია იქითკენ, მათ შორის ეს კომისია, რომ მოხდეს დროის გაჭიანურება და ხელუხლებელი დარჩეს ეს სისტემა, რომლის დამსხვრევასაც ითხოვს ქუჩაში გამოსული ხალხი, – განაცხადა გოცირიძემ.

თეა წულუკიანს საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი არჩილ თალაკვაძე გამოესარჩლა. მისი განცხადებით, იუსტიციის მინისტრი არავის ხელწამოსაკრავი არ არის.

ნაციონალურ მოძრაობას საქმე „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა ოთარ კახიძემაც გაურჩია. მისი თქმით, პოლიტიკურ დემაგოგიასაც აქვს საზღვარი.

– რაღაც საზღვარი ყველაფერს აქვს, მათ შორის პოლიტიკურ დემაგოგიასაც, ჩემს კოლეგებს მივმართავ ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან, არ შეიძლება ბიუროს სხდომაზე მხარი დაუჭირო კომისიის შექმნას და მერე თქვა, რომ ეს არის დროის გაწელვა, ეს არ შეიძლება. არ მესმის ასეთი ტიპის პოლიტიკური კონიუნქტურა. არ შეიძლება იმიტომ, რომ ყველას გვაქვს პასუხისმგებლობა ჩვენი ამომრჩევლის წინაშე, საზოგადოების წინაშე, – განაცხადა ოთარ კახიძემ.

„ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი, დავით ბაქრაძე პირობას დებს, რომ მისი პარტია ზაზა სარალიძესთან ერთად ბოლომდე იბრძოლებს, რომ სიმართლე დადგინდეს.



## უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი დროებითი საგამოძიებო კომისიის შემადგენლობას იწუნებს

მისივე თქმით, დეპუტატების ვალდებულებაა, შეასრულონ თავიანთი ფუნქცია და გამოიყენოთ მისი მექანიზმი იმისთვის, რომ საზოგადოებამ გაიგოს სიმართლე.

– თუ ჩვენ ამას არ გავაკეთებთ, აბა რისთვის ვართ პარლამენტში, იმისთვის, რომ ხელფასი ავიღოთ?! ჩვენ გვაქვს მექანიზმი, ვალდებულება საზოგადოების წინაშე და ამიტომ აკეთებს „ევროპული საქართველო“ ამ ყველაფერს. რაც შეეხება შემადგენლობას, ღმერთმა დაგვიფაროს, რომ „ევროპული საქართველოსგან“ ისეთი შემადგენლობა იყოს კომისიაში, რომელიც უმრავლესობას მოეწონება. პირიქით, იქ არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც პრინციპულად გამჭვირვალედ, ზაზა სარალიძესთან, თითოეულ დაინტერესებულ ადამიანთან ერთად ბოლომდე იბრძოლებენ იმისთვის, რომ დადგინდეს სიმართლე და საზოგადოებამ მიიღოს პასუხი ყველა კითხვაზე.

ეს არის ჩვენი ამოცანა ამ კომისიაში, ამიტომ ნამდვილად არ აქვს მნიშვნელობა და პირიქით, კარგია, რომ უმრავლესობის წევრებს არ მოსწონთ კომისიის შემადგენლობა. სწორედ ეს არის იმის ნიშანი, რომ კომისია იქნება ძალიან მკაცრი, კრიტიკული და ამას საზოგადოება უახლოეს დღეებში დაინახავს. გაბუტვა, გვერდზე გადგომა და მონაწილეობის არმიღება პრინციპულად არასწორად მიმაჩნია, – განაცხადა დავით ბაქრაძემ.

კომისია მუშაობას დღეს, 7 ივნისს დაიწყებს. როგორც კომისიის თავმჯდომარემ, სერგი კაპანაძემ განაცხადა, პირველი რიგში კომისიაში უნდა შეთანხმდნენ ტექნიკურ საკითხებზე და იმაზე, თუ ვის იბარებენ და როდის.

– ვიწყებთ მუშაობას. ტექნიკურ საკითხებს გავივლით, ვის ვიბარებთ და როდის ვიბარებთ. ამ კვირაშივე დავიწყებთ დაბარებას კონკრეტული ადამიანების, რომელთა მოსვლაც მიგვაჩნია, რომ არის მნიშვნელოვანი. საქმის მასალებთან დაკავშირებით, დღესვე გაიგზავნება წერილები და ყველა მასალა იქნება გამოთხოვილი. ნაწილი მასალები იქნება გაცნობილი ადგილზე. კიდევ ერთხელ მინდა მივმართო ხელისუფლებას, კონკრეტულად მთავარი პროკურორის მოვალეობის შემსრულებელს, რომ იმუშაოს კომისიასთან მთელი სერიოზულობით და ყველა ჩვენ მოთხოვნილ მასალას მოეკიდოს სერიოზულად, ყველანაირი ვადების გაწელვის გარეშე. საზოგადოებრივი დაკვეთა არის, რომ კომისიას ჰქონდეს მუშაობის მოკლე ვადა და, რომ ყველა ინფორმაცია იყოს მიწოდებული დროულად, ეს არის მნიშვნელოვანი და იმედია, არავის ექნება ილუზია, რომ გაუვა ხელის შეშლა, – განაცხადა სერგი კაპანაძემ.

# სუს-ის უფროსის მოადგილემ ბირთვული და რადიაციული კონტროლის საკითხებზე სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონული სწავლება გახსნა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილემ, გრიგოლ ლილუაშვილმა ბირთვული და რადიაციული კონტროლის საკითხებზე სამხრეთ აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონული სწავლება „ლომის ფარი“ (LIONSHIELD) გახსნა.

აღნიშნული სწავლება ევროკავშირის ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული (ქბრბ) საფრთხეების შემცირების გამოცდილების გაზიარების ინიციატივის ფარგლებში განხორციელდა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, გაეროს რეგიონთაშორისი დანაშაულისა და მართლმსაჯულების კვლევითი ინსტიტუტის და უკრაინის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ცენტრის პარტნიორობით.

ღონისძიებას მასპინძლობს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, როგორც სწავლების თანაორგანიზატორი. სწავლების პრაქტიკული ნაწილი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს ტექნოლოგიური ინოვაციების და სწავლების ცენტრში გაიმართება.

სწავლების დროს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მონაწილე სექტორებსა და სახელმწიფოებს შორის რეგიონულ თანამშრომლობას. ოთხდღიან პრაქტიკულ სწავლებას გაივლიან ალბანეთის, ბოსნია და ჰერცოგოვინას, მაკედონიის, მოლდოვას, მონტენეგროს, სერბეთის, სომხეთისა და უკრაინის წარმომადგენლები.

სწავლება შედგება სამი საველე სიმულაციისგან, რომელიც დაფუძნებული იქნება სამ განსხვავებულ სცენარზე. სცენარები ორიენტირებული იქნება ბირთვული და რადიოაქტიური მასალების კონტრაბანდის შემოტანის შემთხვევებზე. მონაწილე ქვეყნების წარმომადგენლებს შესაძლებლობა ექნებათ შეამოწმონ ბირთვული და რადიაციული მასალების გამოვლენის კუთხით არსებული რესურსები და რეგიონის ქვეყნებს შორის არსებული კოორდინაციის შესაძლებლობები.

სწავლებას შეაფასებენ ქართველი და უცხოელი ექსპერტები, მათ შორის, ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს, ინტერპოლის, ნორვეგიის რადიაციული დაცულობის ორგანიზაციის, საქართველოში აშშ-ის თავდაცვის საფრთხის შემცირების სააგენტოსა და აშშ-ის ენერგეტიკის დეპარტამენტის წარმომადგენლები.



# ვინ აწვდიდა ზვიად კუპრავას მირზა სუბელიანზე სკანდალურ ინფორმაციებს

## „არ ვიცი, არიან თუ არა ისინი „ქართული ოცნების“ წევრები, მაგრამ ვიცი, რომ წვდომა აქვთ ბევრ რამეზე“



შორენა მარსაგიშვილი

„ქართული ოცნების“ და მისი მიმდევრების მთავარ თავის ტკივილად ქცეული ზვიად კუპრავა კვლავ ყურადღების ცენტრშია. რამდენიმე დღის წინ ის უკრაინაში გაფრინდა. გუშინ, 6 ივნისს, ის თბილისში დაბრუნდა და ვიზიტთან დაკავშირებით მედიასთან კომენტარებიც გააკეთა.

სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელმა თავიდან თქვა, რომ დალაი ლამასთან შესახვედრად იყო წასული. მოგვიანებით ოდნავ დასერიოზულდა და თავისი კომენტარით მეოცნებეებს ისევ მოუშალა ნერვები.

მისი თქმით, უკრაინაში ის შეხვდა ხელისუფლების მაღალჩინოსნების მეგობრებს, მათ შორის მირზა სუბელიანის და სოზარ სუბარის ახლობლებს.

სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელის თქმით, ეს ის ადამიანები არიან, რომლებისგან ის ხორავას ქუჩის საქმის ირგვლივ ინფორმაციებს იღებდა.

– მსგავსი ტიპის შეხვედრებს მე ვაწარმოებდი სისტემატურად, საქართველოს ტერიტორიაზე, თუმცა უსაფრთხოებიდან გამომდინარე, ვინაიდან მაღალი იყო სუს-ის ინტერესი ჩემი მიმართ და ჩემი შეხვედრების მიმართ, გადავწყვიტეთ, რომ ეს შეხვედრა ჩატარებულიყო საზღვარგარეთ.

მე ვხვდებოდი ხელისუფლების კონკრეტული მაღალჩინოსნების ყოფილ მეგობრებს, რომელთა მხრიდანაც მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მე, თუნდაც მირზა სუბელიანთან და სოზარ სუბართან და სხვებთან მიმართებით ვაჟღერებდი. ამ ადამიანებთან შეხვედრა საზღვარგარეთ იმიტომ გადაწყდა, რომ უსაფრთხოება მაქსიმალურად ყოფილიყო დაცული, – აღნიშნა მედიასთან საუბარში კუპრავამ.

ის არ აკონკრეტებს, თუ რა ინფორმაცია მიიღო დამატებით ხორავას ქუჩაზე მოზარდების მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით. ამასთან კუპრავა ამბობს, რომ მათ ბევრ მნიშვნელოვან ინფორმაციაზე მიუწვდებათ ხელი.

– არ ვიცი, არიან თუ არა ისინი პარტიული წევრები, მაგრამ ვიცი, რომ წვდომა აქვთ ბევრ რამეზე. მათ შორის ყოფილი მაღალჩინოსნებიც არიან... უკრაინა იყო ნეიტრალურ ზონაში, რადგან ტრანზიტით ჩამოვედი. უკრაინის საზღვარი არ გადამიკვეთავს, – აღნიშნავს სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელი.

აღსანიშნავია, რომ ზვიად კუპრავა ზაზა სარალიძის მეგობარია. ხორავას ქუჩაზე მომხდარი საზარელი მკვლელობის შესახებ სწორედ ის აწვდიდა საზოგადოებას სკანდალურ ინფორმაციებს.

იმდენი სკანდალი ააგორა, პროკურატურამ გაუთქმელობაზე მოაწერინა ხელი, მაგრამ მაინც ვერ გააჩერეს. სასამართლოს განაჩენის შემდეგ, კუპრავა სარალიძესთან ერთად აქციებს ჩაუდგა სათავეში. ამის მერე მის წინააღმდეგ ნამდვილი ჯვაროსნული ლაშქრობა დაიწყო. ხან ზონდერად გამოაცხადეს, ხან მწამებლად და ამ ეტაპისთვის კენედის მკვლელობა არ დაუბრალებიათ მხოლოდ მისთვის. ესეც იმიტომი რომ ასაკი არ უწყობს ხელს.

# სალომე ზურაბიშვილი: „ირაკლი შოთაძე უნდა მოეხსნათ, სანამ გადადგებოდა“

ნათია ხურცილავა

პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატი სალომე ზურაბიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ხსნის, თუ რატომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის წევრი იყოს.



***– ქალბატონო სალომე, თქვენ როგორ შეაფასებთ ბოლო დროს ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს?***

– ტრაგედიას არ შევეხები, რადგან ეს ტრაგედია ბევრად მეტია, ვიდრე საერთოდ ყველაფერი. რაც მოხდა, ეს არის ამსახველი დღევანდელი საზოგადოების განწყობების. საზოგადოებაში რომ არ იყოს ამ დონის აგრესია, სიძულვილი, ეს არ მოხდებოდა და ახალგაზრდებიც არ იქნებოდნენ ამ ვითარებაში. ვფიქრობ, რომ სწორედ ეს არის პირველ რიგში მისახედი. ამაში ყველას თავისი წილი პასუხისმგებლობა აქვს. ყველამ თავის თავში უნდა ჩაიხედოს, სად არის მისი პასუხისმგებლობა.

მეორე, პროკურატურის პასუხისმგებლობა დგას. პროკურატურა რეალურად არ გაწმენდილა საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული და, რაც მთავარია, ნაციონალური მოძრაობის მმართველობის შემდეგ.

როდესაც ასეთ უმნიშვნელოვანეს უწყებას მთლიანად საზოგადოების ნდობა აქვს დაკარგული, მთავარი პროკურორი თავისით კი არ უნდა წასულიყო, უნდა გადაყენებულიყო. ახლა ამ გადადგომით უნდა დაიწყოს პროკურატურის მთლიანად განახლება, რომ ეს პროკურატურა ამ ხელისუფლების აქილევსის ქუსლი არ იყოს.

***– მთელ ამ პროცესში პოლიტიკოსები გრძნობდნენ თუ არა მათ წილ პასუხისმგებლობას?***

– სრულიად შემაშფოთებელი იყო მთელ ამ პროცესში ნაციონალების აქტივობა, რომელთაც არანაირი სხვა იმედი არ აქვთ, რომ ოდესმე ხელისუფლებაში დაბრუნდნენ. სააკაშვილს უკრაინაში დაბრუნების იმედიც აღარ აქვს და ამიტომ პირდაპირ გადმოსულები არიან, როგორმე აქ მოახდინონ დესტაბილიზაცია, არეულობა. ისინი ცდილობენ, რაღაცნაირად ეს ქვეყანა ჩაათრიონ იმ უბედურებაში, საიდანაც გამოვედით. ეს ყველაფერში ჩანს, მაგალითად, იმ მოწოდებებში, რომლებიც მათი მხრიდან გაისმის. სამი კვირის წინ სურვილი ჰქონდათ, რომ კლუბების ამბავი გამოეყენებინათ, მაგრამ არ გამოუვიდათ.

***– თქვენ ამბობთ, ამ პროცესში ისინი პასუხისმგებლობას ვერ აცნობიერებენ?***

– პირიქით, პასუხისმგებლობას იღებენ, რომ ამ ქვეყანაში უბედურება და გადატრიალება მოხდეს, რადგან ეს არის მათი ერთადერთი გადარჩენის შანსი. რეალურად კი ამ ბოლო დღეებში ნაციონალებმა ბევრად მეტი დაკარგეს, ვიდრე მოიგეს. დღეს საზოგადოებას სრულად აქვს გაცნობიერებული, თუ რას მოგვიტანს კიდევ ერთი არეულობა და დესტაბილიზაცია, ამიტომ რაიმე ტიპის არეულობას ხალხი ხელს არ შეუწყობს.

ეს საფრთხე დაძლეულია, მაგრამ სამწუხაროა, რომ დღეს კიდევ ამ ქვეყანაში არსებობს ერთი ჯგუფი, რომელიც მიდრეკილია, ქვეყანა დააზიანოს. ეს არის ის ჯგუფი, რომელიც გამუდმებით რუსეთზე ლაპარაკობს, რეალურად კი პუტინის რუსეთს თუ რამე უნდა დღეს, ეს არის ის, რასაც ისინი თავიანთი ხელით აკეთებენ.

***– როგორ უნდა დაიბრუნოს პროკურატურამ ნდობა?***

– ყველა ის ადამიანი, ვინც პასუხისმგებელი იყო იმ საქმეებზე, რომლებიც ვიცით, თუ როგორ ჩატარდა, ყველა უნდა იყოს გადაყენებული და ახალი კონკურსი უნდა გამოცხადდეს. ჩვენ გვჭირდება ახალი პროკურატურა.

***– სისტემაზე საუბრობთ?***

– დიახ, მაგრამ ისინიც სისტემაზე საუბრობენ, თუმცა, ეს არის ნაციონალების მიერ დატოვებული სისტემა, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ არ, ან ვერ გაფილტრა ბოლომდე. ალბათ უფრო რბილი გადასვლის იმედი ჰქონდა, მაგრამ ზოგ საკითხებში რბილი გადასვლა არ ხდება.

ამიტომ, სანამ არ გვეყოლება არა მხოლოდ ახალი მთავარი პროკურორი, არამედ განახლებული პროკურატურა, სანამ არ შეიცვლება ნაციონალების მიერ დატოვებული სისტემა, მანამდე ასეთი ვითარება იქნება.

***– ქალბატონო სალომე, თქვენ საპარლამენტო კომისიის წევრი იქნებით, რას უნდა ველოდოთ ამ კომისიისგან?***

– დიახ, გიდასტურებთ, რომ მე ვიქნები კომისიის წევრი. კანონით არის განსაზღვრული ერთი ადგილი დამოუკიდებელი დეპუტატისთვის. ვთვლი, რომ ჩემი ვალდებულებაა, ეს კვოტა დავიკავო ამ საგამოძიებო კომისიაში. მე არ მაქვს ეს გამოცდილება და არ ვიცი, რისი შესაძლებლობა გვექნება და რისი არა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ოპოზიცია შეეცდება, ეს გამოიყენოს თავისი პოლიტიკური მიზნებისთვის. კიდევ ერთი, ვთვლი, რომ ყველა ბერკეტი უნდა იყოს გამოყენებული ამ საქმეში, რომ საზოგადოება დამშვიდდეს და ყველაფერი იყოს გამოტანილი, რაც პირადად ბავშვებს არ ეხებათ. ვაპირებ, რომ ერთი მხრივ სწორედ ამ საზოგადოების წარმომადგენელი ვიყო და რა ინფორმაციის გამოტანაც შესაძლებელი იქნება, ის გამოვიტანო, რომ საზოგადოებამ იგრძნოს ჩართულობა და გამჭვირვალობა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სიტუაცია დამშვიდდეს. მე ვარ ამ პროცესში სრულიად ნეიტრალური, მაგრამ მე არ მინდა, რომ ეს პროცესი პოლიტიკურ ცირკად გადაიქცეს.

***– მირზა სუბელიანი და ყოფილი მთავარი პროკურორი შოთაძე უნდა დაკითხოს ამ კომისიამ?***

– ცხადია, ყველა ის ადამიანი უნდა დაკითხოს, ვინც იყო ამ საქმეში ჩართული და ვისაც შეხება ჰქონდა. უნდა დაიკითხოს ყოფილი მთავარი პროკურორი, მაგრამ ასევე უშუალოდ ის პროკურორებიც, რომლებიც ამ საქმეზე იყვნენ პასუხისმგებელნი. კიდევ სხვა პირებიც, ასევე მშობლები, რომლებსაც აქვთ გარკვეული ინფორმაციები. ყველა ინფორმაცია უნდა იყოს კომისიამდე მოტანილი, რომელიც ამ საქმესთან არის კავშირში. ამ კომისიის დანიშნულება არის, რომ ყველა იმ კითხვას უპასუხოს ღიად და გამჭვირვალედ, რომელიც საზოგადოებაში არის.

# რაში სჭირდება თელავის მუნიციპალიტეტს გერმანული ხარის სპერმა

## ნიკა ვარდოშვილი: „ვინ დაადგინა, რომ კახეთში ძროხების შობადობამ იკლო“

შორენა მარსაგიშვილი

თელავის მერიასთან გუშინ, 6 ივნისს, საინტერესო აქცია გაიმართა. ლეიბორისტული პარტიის კახეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე ნიკა ვარდოშვილი ქალაქის ცენტრში ძროხასთან ერთად გამოჩნდა.

ამ ქმედებით ვარდოშვილი თელავთან დამეგობრებული ქალაქ ბიბერახის მიერ 2.000 ევროს ღირებულების ხარის სპერმის გამოგზავნას გამოეხმაურა. მან აქციაზე განაცხადა, რომ სურს განაყოფიერება დროულად და სწორედ ამ ძროხიდან დაიწყოს.

კახელი ლეიბორისტების ლიდერის პროტესტმა თელაველი მეოცნებეები გააღიზიანა. მათ ვარდოშვილი არასერიოზულობაში დაადანაშაულეს. თელავის მუნიციპალიტეტის მერის შოთა ნარეკლიშვილის განცხადებით, პროექტი, რომლის ფარგლებშიც ბიბერახიდან ხარის სპერმა მიიღეს, 2015 წლიდან ხორციელდება.



– ერთობლივი პროექტია. გერმანელების მიერ არის შერჩეული ორი აქაური ვეტერინარი, რომებლიც ამ პროექტს ემსახურებიან. ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ გამტარი ვართ, არც ფინანსური მონაწილეობა მიგვიღია. რატომ მხოლოდ ეს პროექტი? 2015 წელს ავტოტრანსპორტია გადმოცემული. ბოლო სამ წელში ბიბერახს 180.000 ევროს პროექტები აქვს განხორციელებული თელავისთვის. სპერმის გამოგზავნა გათვალისწინებული იყო ხელშეკრულებით, რომელიც 2015 წელს გაფორმდა, – აღნიშნა თელავის მერმა.

თელავის მერის განცხადებები თავის მხრივ არასერიოზულად მიიჩნია ნიკა ვარდოშვილმა. ის „ახალ თაობასთან“ საუბარში ამბობს, რომ თელავს სათავეში ისეთი ხალხი ჩაუდგა, რომ ერი კიდევ ბევრჯერ გაოცდება.

– იყალთოს მეტროს მერე თელავის საკრებულო თუ რამით გაგვაკვირვებდა, არ გვეგონა, თქვენი ორიგინალური აქციიდან გავიგეთ, რომ გერმანიიდან 2.000 ევროს ღირებულების ხარის სპერმა ჩამოუტანიათ.

– გასული საუკუნის 90-იან წლებში „ფილიპსს“ ჰქონდა ასეთი რეკლამა – ჩვენ კიდევ გაგაკვირვებთ ჩვენი მიღწევებით. ეს სლოგანი ზუსტად მიესადაგება ჩვენს ქალაქს.

იყალთოში მეტროს გაყვანის შემდეგ თუ რამე გაგაკვირვებდათ, ხომ არ გეგონათ, რომ რაღაცით გაგაკვირვებდით, მაგრამ მოვახერხეთ.

***– თქვენი აქციაც გამაოგნებელი იყო – მერიის წინ ძროხასთან ერთად მიხვედით და მერიას მოსთხოვეთ, რომ ის გერმანიიდან გამოგზავნილი სპერმით გაენაყოფიერებინა.***

– თელავის და ბიბერახის მეგობრობა 1987 წელს დაიწყო. მე თელავის წინა მოწვევის საკრებულოს წევრი გახლდით და კარგად ვიცი, რა თემებზე ვთანამშრომლობდით დამეგობრებულ ქალაქთან.

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# „სტრატფორი“: „აშშ-რუსეთის დაპირისპირებაში საქართველოს როლი იზრდება“

მარიამ მჭედლიშვილი

**სირიის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის „დამოუკიდებლობის“ ცნობის შესახებ ქართველმა ექსპერტებმა არ გამორიცხეს, რომ მსგავსი რისკი ლიბანის მხრიდანაც არსებობს.**

ლიბანში ირანის მოკავშირე „ჰესბოლა“ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული ძალაა. ქვეყანაში სიტუაცია სხვა მხრივაც იცვლება.

ექსპერტი ნიკოლა ტომე აღნიშნავს, რომ ლიბანში პოზიციებს რუსეთი იმყარებს. მოსკოვი იქ ხისტ განცხადებებს არ ერიდება თავისი დიპლომატების საშუალებით. ამას დაემატა რუსეთის სამხედრო საჰაერო ძალების მიერ ლიბანის საჰაერო სივრცის დარღვევა. ამის მოტივად დასახელდა რუსეთის რეაქცია ისრაელის მოქმედებებზე. ისრაელი ლიბანის საჰაერო სივრცეს სირიაში სამხედრო ობიექტებზე იერიშისათვის იყენებს.

ექსპერტის თქმით, ლიბანი გარკვეულწილად გამოეთიშა მთელ ახლო აღმოსავლეთის რეგიონში მომხდარ ძვრებს. რუსეთმა ახლო აღმოსავლეთში თავისი კლანჭები გამოაჩინა, მიაღწია გარდატეხას, შექმნა სტრატეგიული ალიანსი და თავის ქმედებებს ირანს, თურქეთსა და ერაყს უთანხმებს. მოსკოვი ძალ-ღონეს არ იშურებს იმისთვის, რომ წამყვანი იყოს რეგიონში. ამ დროს ლიბანი ისევ რჩება სახელმწიფოდ, რომელიც თავის გადაწყვეტილებებს აშშ-ის, ევროპასა და საუდის არაბეთს უთანხმებს. ამას რუსეთი ვერ ეგუება. ის ლიბანში შედის.

დაარღვევინებს თუ არა რუსეთი ლიბანს არაღიარების პოლიტიკას, უცნობია. ამის საფრთხე არსებობს.

რუსეთის წინააღმდეგ ამუშავებულია ახალი ამერიკული სანქციები. მისი მოხსნის პირობად სახელდება დონბასიდან რუსეთის ძალების გაყვანა და ყირიმის კიევისათვის დაბრუნება.

სადაზვერვო-ანალიტიკური კომპანია „სტრასფორის“ მონაცემებით, ამერიკის გლობალური სტრატეგიის ახალი გეოგრაფიული პრიორიტეტი ჩრდილოეთი ატლანტიკაა. ესაა რუსეთთან კონკურენციის ცენტრი. ევროპის სხვა მხარეს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ ანკარას, რომელიც ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის




ბალანსირებს, ასევე ბალტიის ქვეყნებს, პოლონეთს, უკრაინას, საქართველოსა და ბელორუსს. მათ, როგორც აშშ-სა და რუსეთს შორის ბრძოლის ველს, ენიჭებათ უფრო დიდი როლი.

ამერიკის სტრატეგია ასახავს ირანთან დაძაბულობის ზრდას და ჩინეთთან გლობალურ დაპირისპირებას.

როგორც ცნობილია, 2014 წლიდან რუსეთს სანქციებს უწესებს ევროპა. დღეს ექსპერტების აღიარებით, რუსეთი გამოდის ევროპული იზოლაციიდან. ის ამას ახერხებს, პირველ რიგში, გერმანიის დახმარებით. ნატოს სხვა წევრი სახელმწიფოებიდან კრემლთან ხშირი კონტაქტები ასევე აქვთ თურქეთს და საფრანგეთს.

ახლო აღმოსავლეთში რუსეთის წარმატებას არ აღიარებს ყველა ექსპერტი. მათი შეფასებით, განწირულია როგორც ასადის რეჟიმი, ისევე მისი მოკავშირეები – ირანი, რომელიც აპირებს ბირთვული პროგრამის განახლებას, და რუსეთი.

ითვლება, რომ რუსეთისა და ირანის იზოლაცია გაძლიერდება, მათ შორის, კავკასიის ტერიტორიაზე. სომხეთში მომხდარი ხავერდოვანი რევოლუცია რუსეთისა და ირანის პოზიციებს კიდევ უფრო დაასუსტებს.

# ყაზახეთი აღნიშნავს თავისი ქვეყნის დედაქალაქის 20 წლის იუბილეს

წელს ყაზახეთის მოსახლეობა აღნიშნავს ქვეყნის დედაქალაქის 20 წლის იუბილეს. ყაზახებისთვის ასტანასთან დაკავშირებული ნებისმიერი თარიღი განსაკუთრებულია. ეს არ არის გადაჭარბებული ნათქვამი. საკუთარი ქვეყნების დედაქალაქის წარმოშობას სკოლაში, ინსტიტუტებში სწავლობენ, ამას უძღვნიან ფილმებს, ჟურნალისტურ გამოკვლევებს, პოეტურ ნაწარმოებებს.



ასტანა ახალგაზრდა ქალაქია, წელს ქალაქი აღნიშნავს დაარსებიდან 20 წლისთავს. თუმცა ზოგიერთები დღემდე დავობენ ალმაათიდან დედაქალაქის ასტანაში გადატანის მიზანშეწონილობაზე. ყაზახეთის ამჟამინდელი დედაქალაქი მიეკუთვნება მძიმე და რთული კლიმატური პირობების მქონე ქალაქების სიას. თუმცა, ყოფილი ცელინოგრადის ოცწლიანი განვითარების და ასტანად ჩამოყალიბების განმავლობაში, ყაზახეთის ხელისუფლებამ ეს საკითხიც გადაწყვიტა, შექმნა რა დედაქალაქის „მწვანე სარტყელი“ – ნარგავები, რომელიც სარტყელივით გარს ეკვრის ქალაქს და არბილებს ზამთრის მკაცრ სიცივეებს.

ცხადია, ასტანა მხოლოდ ამით არაა საინტერესო. პრეზიდენტი ნაზარბაევის უმთავრესი საიდუმლო იმაში მდგომარეობს, თუ როგორ შეძლო მან სტეპებში სულ რაღაც 20 წელიწადში თანამედროვე მეგაპოლისის შექმნა. საიდუმლოს არ წარმოადგენს ის, რომ ასტანა მხოლოდ მისი მტკიცე პოლიტიკური ნებელობის წყალობით შეიქმნა. ქვეყნის მეთაურის ჩანაფიქრით, ასტანა უნდა გამხდარიყო ყაზახეთის სიმბოლო და ყოფილიყო მსოფლიოში თანამედროვე, თუმცა ახალგაზრდა ქვეყნის სახე, რომელმაც ისტორიული საზომით სულ ახლახან მოიპოვა დამოუკიდებლობა. ეს მეტად ამბიციური ამოცანა გახლდათ. თუმცა ყაზახეთი ამას გაუმკლავდა. ახლა, 20 წლის შემდეგ, ამას ციფრებიც და ფაქტებიც ამტკიცებს.

გასულ წელს ყაზახეთის დედაქალაქმა პირველმა მთელს პოსტსაბჭოურ სივრცეში უმასპინძლა საერთაშორისო გამოფენას „ექსპო“, რომლის თემაც „მწვანე“ ტექნოლოგიების განვითარება გახლდათ. თემა მართლაც რომ საჩვენებელია: ყაზახები აქტიურად ნერგავენ ამ პრინციპებს არა მხოლოდ ასტანას, არამედ სხვა საკუთარი ქალაქების განვითარებაშიც, ამით თანამედროვე ხასიათი შეაქვთ ეკონომიკაშიც. თუმცა, სწორედ ასტანაა ერთგვარი პლაცდარმი სიახლეების დასანერგად, რათა შემდგომში ისინი მთელს ქვეყანაში გავრცელდეს.

სავარაუდოდ, უახლოეს წლებში ყაზახეთის მილიონიანი ქალაქი კიდევ უფრო განვითარდება. ასტანაში გამართულ ეკონომიკურ ფორუმზე დედაქალაქის თავკაცმა ასეტ ისეკეშევმა განაცხადა, რომ განვითარების პერსპექტივაში ასტანა იქცევა გლობალურ ქალაქად და სახეზეა რა დედაქალაქსა და სრულიად ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნები, ეს ამბიციური გეგმები ადვილად სარწმუნოა. ყაზახეთის ხელისუფლება ბაძავს სინგაპურსა და დუბაის. იმავე ფორუმზე 18 მაისს ასტანაში ცნობილი გახდა, რომ ქალაქმა უკვე მიიღო უკუგება მის მშენებლობაში ჩადებული სახსრებისა, რომელიც 2 ტრილიონ ტენგეს აჭარბებს, რაც დაახლოებით 6 მილიარდი აშშ დოლარის ეკვივალენტია.

ახლა უკვე გასაგებია, თუ რატომ უწოდებენ ასტანას ყაზახეთის განვითარების ლოკომოტივს. ახალ დედაქალაქთან ერთად წელში გაიმართა ეკონომიკის სამშენებლო გადამამუშავებელი სექტორიც, რომელმაც დომინოს პრინციპით სხვა დარგებზეც იმოქმედა. ასტანას მშენებლობა კვლავაც გრძელდება. ამასთან, ქვეყნის ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობს განტვირთოს ბიუჯეტი ძვირადღირებული პროექტებისაგან და მოიზიდოს ინვესტორები.

ყაზახეთის ოფიციალურ სამთავრობო ვებგვერდზე გამოქვეყნებულია ოფიციალური მონაცემები: 26-წლიანი დამოუკიდებლობის განმავლობაში ქვეყანამ მოიზიდა თითქმის $300 მილიარდი პირდაპირი ინვესტირების გზით. ეს კი ცენტრალური აზიის საერთო ინვესტიციების 70% შეადგენს. ყველაზე მსხვილი ინვესტორები არიან ნიდერლანდები, აშშ, შვეიცარია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, რუსეთი, იტალია, იაპონია, ბელგია და კანადა. ასტანაზე მოდის თითქმის 20 მილიარდი აშშ დოლარი ინვესტირებით. აღსანიშნავია, რომ ინვესტორთა ქვეყანაში მოზიდვა სახელმწიფო მნიშვნელობის ამოცანას წარმოადგენს.

ასტანის აგებით, ნურსულტან ნაზარბაევმა საკუთარი ქვეყნის შესაძლებლობები, დასახული ამოცანების ამბიციურობა და, რაც ყველაზე მთავარია, ამ ამოცანების სწრაფად და სწორად გადაწყვეტის უნარი აჩვენა. აქ საქმე არა იმდენად ეკონომიკურ მაჩვენებლებშია, რაც მეტად მნიშვნელოვანია და ქვეყნის ხელისუფლების იდეურ ქმედუნარიანობას ციფრებით ამტკიცებს, რამდენადაც იმ გზავნილებში, რომელსაც ყაზახეთი უგზავნის მთელს მსოფლიოს. ასტანა მსოფლიო მნიშვნელობის დედაქალაქია. მას შეუძლია გლობალური ამოცანების გადაწყვეტაც: უმასპინძლოს საერთაშორისო გამოფენას „ექსპო“, საერთაშორისო ეკონომიკურ სამიტებს, მხოლოდ სპიკერთა ხშირი ყოველწლიური ვიზიტები რად ღირს.

ყაზახეთის დედაქალაქი გასულ წელს სამშვიდობო მოლაპარაკებების ადგილადაც იქცა, ამასთან, აღსანიშნავია, რომ ეს ყაზახეთის ხელისუფლების ინიციატივით სულაც არ მომხდარა. ასტანა შეხვედრებისათვის და მოლაპარაკებების წარმოებისათვის ხელსაყრელი ადგილი იყო ყველა მონაწილისათვის. სწორედ ეს არის ყაზახეთის დედაქალაქის სტატუსისა და, რაც მთავარია, ამ ქვეყნის ხელისუფლებისადმი მაღალი ნდობის მაჩვენებელი.

საიდუმლოს არ წარმოადგენს ის, რომ თანამედროვე პოლიტიკაში ბევრი რამ მოლაპარაკების მხარეთა კონკრეტულ პიროვნებებზეა დამოკიდებული. პრეზიდენტმა ნაზარბაევმა მოიპოვა ბრძენი მმართველის იმიჯი. და მას ეს ნამდვილად დაიმსახურა. ბევრ შემთხვევაში ნაზარბაევის ავტორიტეტი გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონეა.

ქვეყნისა და მისი დედაქალაქის ადმინისტრაციის გეგმაში შედის ასტანის საერთაშორისო ფინანსურ ცენტრად გადაქცევა. „ექსპოს“ მასპინძლობის შემდგომ ეს კიდევ ერთი გლობალური მნიშვნელობის ამოცანაა, რომელიც პრაქტიკულად, უკვე გადაწყვეტილია. ამ დღეებში ასტანაში განაცხადეს, რომ ფინანსურ ცენტრში „ასტანა“ უკვე 13 კომპანია დარეგისტრირდა, 20-მა შეიტანა განაცხადი, ხოლო წლის ბოლომდე ასტანის ფინანსური ცენტრი გეგმავს 100-მდე კომპანიის მოზიდვას, ხოლო სამ წელიწადში კი – მათი რიცხვის 500-მდე გაზრდასაც. დედაქალაქის თავკაცის ასეტ ისეკეშევის თქმით, სწორედ ასტანის ფინანსური ცენტრი ჩაუყრის საფუძველს ასტანის განვითარებას, აქცევს მას გლობალურ ქალაქად პოლიტიკური და საერთაშორისო გაგებით. თუმცა, წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისით, ასტანას უკვე თვლიან წარმატებულ ბიზნესპროექტად. ხელისუფლება გეგმავს, შექმნას სიმბიოზი: ეკონომიკური წარმატებებისა და დედაქალაქის კულტურული ცხოვრების შერწყმით, პრიორიტეტი მიენიჭება დედაქალაქის კეთილმოწყობას, კომფორტსა და უსაფრთხოებას და ეს სავსებით ლოგიკურია. თუ კარგად დავაკვირდებით ასტანას განვითარებას ბოლო 20 წლის განმავლობაში, ირწმუნებ, რომ ეს მიზანი ნამდვილად მიღწეულია.

# ილია ბარაბაძე: „მოვითხოვ, სოფლების განვითარების ფონდები შეიქმნას“

გულიკო ბალაძე

უფლებადამცველი ილია ბარაბაძე „ახალ თაობასთან“ აცხადებს, სახელმწიფოს ხალხის მიმართ უნდა ჰქონდეს პასუხისმგებლობა, ხალხს – სახელმწიფოს მიმართ. ახლა პასუხისმგებლობა წაშლილია. ქვეყანა რომ განვითარდეს, სახელმწიფო ხელისუფლება სოფელს უნდა დაეხმაროს.

უფლებადამცველი მუნიციპალიტეტებში სოფლების განვითარების ფონდების შექმნას მოითხოვს.

– მინდა ხელისუფლებას მივაწოდო ხმა, როგორც ახლა მიდის ცხოვრება, ასეთი გზით წასვლა, ქვეყნის დაღუპვაა. მოვითხოვ, მუნიციპალიტეტებში სოფლების განვითარების ფონდები შეიქმნას. სოფლები უნდა განვითარდეს. არსებული შეღავათები ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რაც საჭიროა, – აცხადებს უფლებადამცველი ილია ბარაბაძე.

***– ბატონო ილია, ქვეყანას განვითარების მიმართულებას უწუნებთ?***

– დიახ, ქვეყნის, ცხოვრების მიმართულება, ხედვა უნდა შეიცვალოს. სოფელში სოფლელ კაცს უნდა დაეხმარონ, რომ რაღაც აწარმოოს. თუ კრედიტს მისცემ, ის დაზღვეული უნდა იყოს. სხვანაირად წარმატება, სოფლის განვითარება გამორიცხულია.

***– ამას რატომ ამბობთ?***

– იმიტომ, რომ დაზღვევის გარეშე გარისკვა შეუძლებელია. სასუქი იყიდა, დახნა, დათესა, მაგრამ შემდეგ რაღაც მოხდა და ნაშრომი გაუნადგურდა. მერე რა უნდა ქნას?

***– „ოცნების“ ხელისუფლება რომ მოვიდა, პირველ წელსვე მილიარდი დახარჯა სოფლის მეურნეობაზე, მეორე წელსაც მილიარდით დაფინანსდა სოფელი. მესამე წელსაც იყო დახმარება. ფიქრობთ, რომ დახარჯულმა მილიარდებმა შედეგი არ მოიტანა?***

– დაფინანსება მიზნობრივი უნდა იყოს.

***– მიზნობრივ დაფინანსებაში რას გულისხმობთ? სოფელში ყველა არ უნდა დაფინანსდეს?***

– თბილისში ვინ იცის, ვთქვათ, ლაგოდეხის რომელიღაც სოფელში რომელი გლეხია მშრომელი და რომელი – არა. ხელისუფლებამ თავიანთ ხალხს მისცა თანხა, სხვებისთვის არ მიუცია.

***– როგორ?***

– სიმართლე გითხრათ, თავისი პარტიის წევრები დააფინანსა, რითაც ზოგმა მანქანა იყიდა, ზოგმა რაღაც გააკეთა.

***– თქვენ ბიზნესის დაფინანსებაზე საუბრობთ, საწარმოების შექმნაზე, თუ ფიქრობთ, რომ ვინც შრომობს, სახელმწიფო ყველას ფინანსურად უნდა დაეხმაროს?***

– გამგეობაში არსებულმა კომისიამ უნდა იცოდეს, ვის შეიძლება მისცეს თანხა და ვის – არა. მას უნდა დაეხმაროს, ვინც შრომობს და ვინც მოიხმარს თანხას, მცირე საწარმოს შესაქმნელად გამოიყენებს. ანალოგიურად ქალაქშიც უნდა შეიქმნას მცირე საწარმოები.

***– წინა წლებში ეკონომიკის სამინისტრო მცირე ბიზნესისთვის ერთ პირს 5 ათას ლარს აძლევდა, თუ სამკაციანი ჯგუფი იქნებოდა, 15 ათას ლარით აფინანსებდა. თან ტრენინგსაც უტარებდა, ასწავლიდა, როგორ უნდა მოეხმარა მისთვის გადაცემული თანხა, ანუ ბიზნესის წამოწყებაში ეხმარებოდა.***

– თანხას ვის აძლევდნენ?

***– ვინც ბიზნესის წამოწყების სურვილს გამოთქვამდა. ტელევიზიით აცხადებდნენ, რომ მათთვის მიემართათ.***

– ასეთი რამ მე არ გამიგია. ეს, ალბათ, რეკლამა იყო. რეკლამა კი რეკლამად დარჩა. ბოლო 27 წელია ასეა. მას შემდეგ, რაც შეიცვალა წყობა – დამოუკიდებელი და დემოკრატიული გავხდით, ყველა ხელისუფლება თავისი პარტიის წევრს აფინანსებს. დანარჩენი ამ ქვეყნის მოქალაქედ არ ითვლება.

***– მაგალითი შეგიძლიათ მოიყვანოთ?***

– ამ ქვეყანაში ვცხოვრობ და ვიცი, რაც ხდება. მაგალითი ისაა, რომ სოფელში გამგებელს არავითარი თანხა არ აქვს.

***– სოფლის გამგებელს რა თანხა უნდა ჰქონდეს?***

– სწორედ სოფლის გამგებელს უნდა ჰქონდეს თანხა, მცირე ბიზნესის დახმარების ფონდი, გამგებელთან უნდა იყოს კომისია, რომელიც გადაწყვეტს, რომელ გლეხს დაეხმარონ თანხით. აბა, თბილისიდან როგორ უნდა გაარკვიო, ვის სჭირდება თანხა და ვის შეუძლია მისი გამოყენება? ამის გარეშე მილიარდებისა და მილიონების უმიზნოდ ხარჯვა იქნება.

***– თქვენ რას მოითხოვთ?***

– მოვითხოვ, მუნიციპალიტეტებში სოფლების განვითარების ფონდი შეიქმნას. სოფლები უნდა განვითარდეს.

***– მაღალმთიანი სოფლებისთვის მთის კანონი მიიღეს და შეღავათები არის.***

– შეღავათები არის ზღვაში წვეთი. სიტყვით ყველაფერი კარგად ითქმება, მაგრამ გაკეთებით არ კეთდება. სოფელი მთაშიც და ბარშიც უნდა განვითარდეს. წარმოშობით ხონის რაიონიდან ვარ, ჩვენს ქუჩაზე (მოკლე ქუჩაა) 25 ოჯახი ცხოვრობდა. ახლა 4 ოჯახია დარჩენილი. რაიონებში ცხოვრება რომ ვარგოდეს და რაღაც ხელშეწყობა იყოს, იქიდან ვინ წამოვა.

# კალაძე: „მადლობა მეტროს მემანქანეებს კომპრომისისთვის“



მთავრობის სხდომის დაწყებამდე თბილისის მერმა კახა კალაძემ მეტროს მემანქანეებს გაწეული თანამშრომლობისთვის მადლობა გადაუხადა და დაჰპირდა, რომ 2019 წელს მათი შრომითი პირობები გაუმჯობესებული იქნება.

– მეტროპოლიტენის მემანქანეებმა გაფიცვა შეწყვიტეს და მეტრომ მუშაობა განაახლა. რაც შეეხება პროცესებს, იცით, რომ შედგა შეხვედრა მხარეებს შორის. ჩვენ კიდევ ერთხელ ვისაუბრეთ დეტალურად არსებულ მდგომარეობაზე. როგორც მოვილაპარაკეთ, ჩვენ 2019 წელს დავუბრუნდებით ამ საკითხს და ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ამ ადამიანების შრომითი პირობები გაუმჯობესებული იყოს. ზოგადად დასაქმებულთა შრომითი პირობების გაუმჯობესება, ჩემთვის, როგორც ქალაქის მერისთვის, მნიშვნელოვანია, – აღნიშნა კალაძემ.

მანვე მადლობა გადაუხადა საზოგადოებას, ავტობუსის მძღოლებსა და საპატრულო პოლიციას ბოლოო დღეებში გადატვირთული სატრანსპორტო მოძრობის გამო.

# მეტროს გათიშვის გამო ზარალი შესაძლოა 100.000 ლარამდე იყოს



– როდესაც საუბრობენ ციფრებზე, სჯობს ისწავლონ ანგარიში იმისთვის, რომ ზუსტი ციფრებით სწორი ინფორმაცია მიაწოდონ საზოგადოებას, – ამის შესახებ ვიცე-მერმა ირაკლი ხმალაძემ განაცხადა და გამოეხმაურა ოპოზიციური პარტიების მიერ გავრცელებულ ინფორმაციას მეტროს გაჩერების შედეგად დედაქალაქისთვის მიყენებულ ფინანსურ ზარალთან დაკავშირებით.

მისივე თქმით, დღიური ზარალი ნამდვილად არ არის არც 300.000, არც 600.000 ლარი, როგორც ოპოზიცია აცხადებს.

– ზარალი არის დაახლოებით 40-45 ათასი ლარი. იქიდან გამომდინარე, რომ გაჩერებული იყო მეტრო და თუ ერთი მხრივ, არ შემოდის შემოსავალი, მეორე მხრივ, არ იხარჯება თანხები მისი ოპერირებისთვის. აქედან გამომდინარე, ასე პრიმიტიულად ნუ ითვლიან, ცოტა მათემატიკაც ისწავლონ, – აღნიშნა ხმალაძემ.

რაც შეეხება უფასო ავტობუსების თემას, ირაკლი ხმალაძე აცხადებს, რომ ეს მერიას ზარალს არ მოუტანდა, რადგან მოსახლეობის სასიკეთოდ გაკეთდა.

– იმას, რომ ავტობუსები უფასო იყო, მე ზარალს ვერ დავარქმევ, რადგან ჩვენი საზოგადოების სასიკეთოდ გამოვიყენეთ. ჩვენი ბიუჯეტის 40%-მდე იხარჯება სოციალურ ხარჯებზე და ეს არ არის ზარალი. ასე იყო ამ ორი დღის განმავლობაშიც. ეს არის მოსახლეობის სასარგებლოდ გაწეული მიზნობრივი ხარჯი, რომელიც შესაძლოა დათვალოს სატრანსპორტო კომპანიამ და შესაძლოა იყოს 100.000 ლარამდე, – ამბობს ხმალაძე.

**კომერსანტი**

# სესხის გამცემ სუბიექტებს რეგისტრაციისთვის 10 ათასი ლარის გადახდა მოუწევთ



– სესხის გამცემ სუბიექტებს რეგისტრაციისთვის 10 ათასი ლარის გადახდა მოუწევთ, – ამის შესახებ ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადებულ ცვლილებათა პროექტშია ნათქვამი.

როგორც ცნობილია, 2019 წლის 1-ელი იანვრიდან, ეროვნული ბანკის რეგულირებასა და ზედამხედველობას დაექვემდებარება სესხის გამცემი სუბიექტი, კერძოდ, ნებისმიერი მეწარმე სუბიექტი, რომლის მიმართაც ერთდროულად 20-ზე მეტ ფიზიკურ პირს აქვს სასესხო/საკრედიტო ვალდებულება.

– აღნიშნული რეგულირების ფარგლებში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მოხდება სესხის გამცემი სუბიექტების რეგისტრაცია, რისთვისაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს შესაბამისი სარეგისტრაციო მოსაკრებელი, როგორც აღნიშნული დადგენილია ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაქვემდებარებული სხვა სუბიექტებისათვის. კანონის არსებული რედაქციით, სესხის გამცემი სუბიექტების სარეგისტრაციო მოსაკრებელი არ არსებობს. შესაბამისად, კანონპროექტის შემუშავება განპირობებულია სესხის გამცემი სუბიექტისათვის, ისევე, როგორც ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაქვემდებარებული სხვა სუბიექტებისთვის სარეგისტრაციო მოსაკრებლის დაწესების აუცილებლობით, აღნიშნულია პროექტის განმარტებით ბარათში.

კანონპროექტის თანახმად, სესხის გამცემი სუბიექტის სარეგისტრაციო მოსაკრებლის განაკვეთი 10.000 ლარი იქნება.

**კომერსანტი**

# ჰიდროენერგეტიკის გაუმჭვირვალე მემორანდუმები და საეჭვო დეველოპერები

საქართველოში ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის წინააღმდეგ პროტესტის ტალღა პიკზეა.

ჰესების მშენებლობაზე გამოცხადებულ 124-ზე მეტი პროექტიდან უმეტესობა შეფერხებული ან შეჩერებულია. ქვეყანაში კი ელექტროენერგიის მოხმარება და გარე ქვეყნებზე იმპორტდამოკიდებულება იზრდება.

2018 წლის პროგნოზით, 2017 წელთან შედარებით მოხმარება 7%-ით, ხოლო გარე ქვეყნებიდან ნეტო იმპორტი 42%-ით ანუ 350 მლნ კვტ.სთ-ით გაიზრდება. საქართველოში კი ჰიდრორესურსების მხოლოდ 20%-ია ათვისებული.

***– რატომ ვერ ვითარდება ქვეყანაში ჰიდროენერგეტიკა და რატომ გახდა საზოგადოებრივი დაპირისპირების საგანი?***

– ჰესების დაპროექტების და მშენებლობის დროს ბევრი ტექნიკური ხარვეზია. მათ შორის დაუმთავრებელი მტკვარის ჰესი, უხარისხოდ აშენებული და გაჩერებული შუახევის ჰესი, დამეწყრილი „ბახვი 3“ ჰესი, დევდორაკის მეწყერით დაზარალებული „დარიალის“ და „ლარსის“ ჰესები. არ ხდება ამ შეცდომების აღიარება, სათანადო ანალიზი და გაკვეთილების გამოტანა მომავალში გასათვალისწინებლად. ამის ნაცვლად, ერთი წარუმატებელი პროექტის შემდეგ იგივე დეველოპერები ხშირად სხვა პროექტებს ავითარებენ, – ამბობს ანალიტიკურ ცენტრ „მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის“ დირექტორი მურმან მარგველაშვილი.

მარგველაშვილის შეფასებით, ჰიდროენერგეტიკულ პროექტებში მთავარი კრიტიკის საგანია გარემოზე ზემოქმედების შეფასება დოკუმენტების კვლევების ხარისხი – გაუმჭვირვალე პროცედურები და მემორანდუმები.

– დეველოპერების დიდ ნაწილს აკლია გამოცდილება, ცოდნა და ფინანსური რესურსი იმისთვის, რომ პროექტების გეგმის მიხედვით განავითაროს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ პირადი ურთიერთობები გადამწყვეტ როლს თამაშობს ამა თუ იმ პროექტის განვითარების უფლების მიღებაში.

ჰესების წინააღმდეგ პროტესტი განსაკუთრებით გაძლიერდა სვანეთში, სადაც დაწყებულია რამდენიმე საშუალო და დიდი ჰესის, მათ შორის ნენსკრას და ხუდონჰესის მშენებლობა. საქმე იქამდე მივიდა, რომ მოსახლეობის ნაწილი ჰესების მშენებლობისადმი წინააღმდეგობის საბაბით, მზად არის სვანები სხვებისგან განსხვავებულ მოქალაქეებად გამოაცხადოს.



– შექმნილი მდგომარეობით ზარალდება ქვეყნის ენერგოუსაფრთხოება და ეკონომიკური განვითარების ინტერესები, ზარალობენ კვალიფიციური ინვესტორებიც, ხოლო ადგილობრივი მოსახლეობა შესაძლოა კარგავდეს იმ სარგებელს და პერსპექტივებს, რაც განვითარებას მოაქვს, – ამბობს მარგველაშვილი.

## რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ?

ანალიტიკურ ცენტრ „მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის“ დირექტორი მურმან მარგველაშვილი გამოსავალს მხარეთა შორის ღია დიალოგში ენერგოსტრატეგიის ჩამოყალიბებაში ხედავს:

– ღია დიალოგი უნდა დაეყრდნოს პროფესიულ კვლევებსა და მონაცემებს, საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკას და სამეცნიერო ცოდნას და გამოირიცხოს დილეტანტური, პოპულისტური გამოსვლები და მიდგომები. უფრო კონკრეტულად: დაიწყოს ენერგეტიკული სტრატეგიის ჩამოყალიბება.

**კომერსანტი**

# რა ღირს ტურისტისთვის თბილისში ხუთვარსკვლავიან და მცირე ზომის სასტუმროებში ღამის გათენება




ზაფხულის სეზონის მოსვლასთან ერთად, ქვეყანაში სასტუმრო ბიზნესის გააქტიურების პროცესი დაიწყო.

„კომერსანტი“ თბილისში არსებული მსხვილი და საშუალო სასტუმროების წარმომადგენლებს დაუკავშირდა და გაარკვია, თუ როგორ იცვლება ტურიზმის სეზონის მოახლოებასთან ერთად სასტუმროების დატვირთვა და მისი მომსახურების ფასები.

სასტუმროების წარმომადგენლების განცხადებით, 2018 წლის მაისში, 2017 წლის ამავე პერიოდთან შედარებით, სასტუმროებში ტურისტების რაოდენობა 3%-დან 7%-მდე გაიზარდა. უმეტესად კი გაზრდილია რუსეთიდან ჩამოსული სტუმრების რაოდენობა.

როგორც „კომერსანტთან“ Radisson Blue Tbilisi-ის მარკეტინგის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა სოფო მესხმა განაცხადა, ზაფხულის სეზონს სასტუმრო განსაკუთრებულად დატვირთული ხვდება. მისივე განცხადებით, 2017 წლის მაისთან შედარებით, მათ სასტუმროში მომხმარებელთა რაოდენობა 3%-დან 6%-მდე გაიზარდა.

რაც შეეხება საფასო პოლიტიკას, ხუთვარსკვლავიან სასტუმროში ფასი მისი დატვირთულობიდან გამომდინარე იცვლება, თუმცა ზაფხულის სეზონზე Radisson-ი თბილისში სტუმრებს საშუალოდ 180 დოლარიდან 250 დოლარამდე უმასპინძლებს.

– საქართველოში ამ ეტაპზე ლადისსონ-ის ორი სასტუმრო გვაქვს. თბილისსა და ბათუმში ორივე სასტუმრო ზაფხულის სეზონისთვის მზადაა. ჩვენ სხვადასხვა ბაზრებზე ვმუშაობთ, თუმცა ძირითადი შემოდინება რუსეთიდან და ყოფილი ესენგეს ქვეყნებიდან ხდება. ასევე გვსტუმრობენ თურქეთიდან, ისრაელიდან და ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან, – აღნიშნა სოფო მესხმა.

სამვარსკვლავიანი სასტუმრო Davit Sultan-ის მენეჯერის მარინა მაისურაძის განცხადებით, მათთანაც ტურისტების ძირითადი ნაკადი რუსეთიდან ჩამოდის. სასტუმროს გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით წელს 2%-დან 3%-მდე ზრდა აქვს. სასტუმროში ფასები სტანდარტულად 80 დოლარიდან 100 დოლარამდე მერყეობს და აღნიშნული მაჩვენებელი არ იცვლება.

– ბაზარზე კონკურენცია დიდია, ამიტომ ჩვენ მუდმივად ვაკონტროლებთ სიახლეებთან დაკავშირებულ საკითხებს, – აცხადებს მაისურაძე.

გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 2018 წელს ტურისტების რაოდენობის ზრდაზე საუბრობენ მცირე სასტუმრო Rustaveli Palace Hotel-შიც. მათი თქმით, ამ პერიოდში სტუმრების რაოდენობა 5%-7%-ით გაიზარდა.

სასტუმროს ზაფხულის სეზონზე ძირითადად აღმოსავლეთის ქვეყნებიდან, რუსეთიდან და ევროპიდან სტუმრობენ.

**კომერსანტი**

# „საქართველოს ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოში ცვლილებებია




„საქართველოს ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭო ორმა წევრმა დატოვა. კერძოდ, სააქციო საზოგადოების აქციონერის სს „ბიჯეო ჯგუფის“ წარმომადგენლის ირაკლი გილაურის გადაწყვეტილებით, დამტკიცდა საბჭოს ორი წევრის – კიმ ბრედლისა და დევიდ მორისონის გადადგომა.

ამასთან, ბანკის აქციონერის „ბიჯეო ჯგუფის“ გადაწყვეტილებით, 2017 წლის მოგებიდან დივიდენდებს ჩვეულებრივ აქციებზე 120 მლნ ლარის ოდენობის დივიდენდს გასცემს. კერძოდ, სს „საქართველოს ბანკის“ თითოეულ ჩვეულებრივ აქციაზე 4.31 ლარის ოდენობის დივიდენდი დაირიცხება.

ამასთან, როგორც გადაწყვეტილებაშია აღნიშნული, „ბიჯეო ჯგუფი“ „საქართველოს ბანკის“ ჩვეულებრივი აქციების და, შესაბამისად, ხმების 75%-ზე მეტს ფლობს და ამდენად, აღნიშნული გადაწყვეტილებები აქციონერთა საერთო კრების ტოლფასია და კრების გადაწყვეტილებად ითვლება.

**ბპნ**

# რაში სჭირდება თელავის მუნიციპალიტეტს გერმანული ხარის სპერმა

დასაწყისი მე-4 გვერდზე

საუბარია ისეთ საკითხებზე, როგორიცაა თელავის განვითარების გეგმა, ჩვენი 900 წლოვანი ჭადრის გადარჩენაშიც გერმანელები დაგვეხმარნენ. იქაურმა სპეციალისტებმა გასხლეს ის და სიცოცხლე გაუხანგრძლივეს.

ახალ საკრებულოს რაც შეეხება, მათგან ერთი იყალთოს მეტრო გვახსოვს და მეორე გერმანული ხარის სპერმა.

ბიბერახიდან ხარის სპერმის გამოგზავნაზე წინა მოწვევის თვითმმართველობაშიც იყო საუბარი. ეს საკითხი მაშინ გავატარეთ, რადგანაც ამის არანაირი საჭიროება არ იყო.

***– ახლა არის ამის საჭიროება?***

– არც ახლა არ არის. დავიჯერო, ბიბერახთან სხვა რამეზე არ შეგვეძლო გველაპარაკა?!

***– შესაძლოა მერიას უნდა, რომ თელავში გერმანული ჯიშის რქოსანი პირუტყვი მომრავლდეს.***

– დეტალებში ვერ ვერკვევი და არ ვიცი, გერმანიიდან გამოგზავნილი ნედლეული გერმანულ ჯიშს განეკუთვნება თუ შვეიცარიულს. მაინტერესებს, რატომ დადგა დღის წესრიგში ამ სპერმის ჩამოტანის საკითხი. რაღაც სტატისტიკა ხომ უნდა არსებობდეს.

***– რა სტატისტიკა?***

– მაგალითად ის, რომ კახეთში ძროხების შობადობამ იკლო. მაშინ გასაგები იქნებოდა, რომ გერმანელებისგან დახმარება ვითხოვეთ. ძროხების შობადობის კლებაზე აქამდე არაფერი გაგვიგია. მუნიციპალიტეტში ხომ იცით, ჩვენზე ჭკვიანი ხალხია და იმათ უკეთ ეცოდინებათ ეს ამბავი.

***– მუნიციპალიტეტი რა განმარტებას აკეთებს?***

– ამბობენ, რომ სპერმას ფერმებს დაურიგებენ. ისიც დასძინა, რომ ძროხების განაყოფიერება გასაშარჟებელი თემა არ არისო, მაგრამ აბა მითხარით, როგორ არ უნდა გავაშარჟო. იმასაც არ ამბობენ, სად უნდა წაიღონ ეს სპერმა.

მე უფრო ვფიქრობ, რომ აქ მიბაძვასთან გვაქვს საქმე. მთელი „ოცნება“ ხომ იცით ვისაც ბაძავს. ქვეყნის მთავარი დენდროლოგი ფლორით არის დაინტერესებული და თელავის მუნიციპალიტეტმა ფაუნას მიხედა. სხვა ახსნას ამას ვერ ვუძებნი.

***– თელაველები როგორ შეხვდნენ ბიბერახიდან გერმანული პროდუქციის ჩამოსვლას?***

– როგორ შეხვდებოდნენ? კახელები იუმორის ხალხია და ამასაც იუმორით შეხვდნენ. საკითხი მართლაც სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.

***– მუნიციპალიტეტს აქციის მოწყობას ხომ არ უპირებთ?***

– ქვეყანაში ისეთ საკითხებზე ტარდება აქციები, ამაზე ქუჩაში როგორ გამოვიდეთ. მოსაწყობი აქცია უკვე მოვუწყვე და ძროხა მივუყვანე.

# 55 წლის ქალი, რომელიც 7 თვის განმავლობაში მეზობლებს თურქეთში წასული ეგონათ, საკუთარ სახლში გარდაცვლილი იპოვეს




ბორჯომში, 55 წლის ქალი, რომელიც 7 თვის განმავლობაში მეზობლებს თურქეთში წასული ეგონათ, საკუთარ სახლში გარდაცვლილი იპოვეს.

მეზობლების ინფორმაციით, ქალი ნოემბერში ამბობდა, რომ თურქეთში გეგმავდა წასვლას. მათივე თქმით, ამის შემდეგ ის არავის უნახავს და სამართალდამცველები მას შემდეგ გამოიძახეს, რაც დევნილთა საერთო საცხოვრებელში უსიამოვნო სუნი დადგა.

არსებული ინფორმაციით, 55 წლის ქალს გული აწუხებდა. პირველადი ინფორმაციით, გარდაცვლილს რაიმე ძალადობის კვალი არ აღენიშნება.

როგორც „ინტერპრესნიუსს" შსს-ში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

# წალენჯიხის ტყეში 19 წლის ბიჭი მოკლული იპოვეს



წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ საჩინოში 19 წლის ბიჭი გარდაცვლილი იპოვეს.

როგორც ადგილობრივები აცხადებენ, ის სანადიროდ იყო წასული. გარდაცვლილს ჭრილობა თოფის გასროლის შედეგად აქვს მიყენებული.

ერთ-ერთი ვერსიით, მას იარაღი გაუვარდა. არსებული ინფორმაციით, შემთხვევას თვითმხილველი არ ჰყავს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

ცხედარს ქუთაისში ექსპერტიზა უკვე ჩაუტარდა.

# დაკარგული კაცი საკუთარ სხვენში გარდაცვლილი ნახეს




ზუგდიდის რაიონის სოფელ ნაწულუკუში რამდენიმე დღის წინ დაკარგული კაცი საკუთარი საცხოვრებელი ბინის სხვენში გარდაცვლილი ნახეს.

არსებული ინფორმაციით, მან სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. კაცს ოჯახის წევრები 1 ივნისიდან ეძებდნენ.

შს სამინისტროს ცნობით, მომხდარზე გამოძიება 115-ე (თვითმკვლელობამდე მიყვანა) მუხლით დაიწყო.

# ზვიად დევდარიანი 8 ქალის წინააღმდეგ: „2 დღეში დავასახელებთ იმ პირებს, ვინც მიზანმიმართული კამპანია დაგეგმა"



CIDA-ს ყოფილი ხელმძღვანელი ზვიად დევდარიანი პატივისა და ღირსების შელახვისთვის 8 ქალს უჩივლებს. ამის შესახებ მან და მისმა ადვოკატმა დიმიტრი გაბუნიამ გუშინ, 6 ივნისს, სახალხო დამცველის ოფისის დატოვების შემდეგ ისაუბრეს.

— ვიტყვით, ვინც ეს ინფორმაცია გაავრცელა, ხელი შეუწყო ამ ინფორმაციის ტირაჟირებას, თუ როგორ დაიგეგმა ეს კამპანია, ვის ინტერესებში იყო და, შესაბამისად, მკაცრად მოვთხოვთ პასუხს კანონით დადგენილი წესით.2 დღეში დავასახელებთ იმ პირებს, რომლებმაც ზვიად დევდარიანის წინააღმდეგ მიზანმიმართული კამპანია დაგეგმეს, — განაცხადა გაბუნიამ.

მას არ დაუკონკრეტებია სახელები და გვარები, თუ ვის წინააღმდეგ აპირებენ ჩივილს.

# ჩოხატაურში დედამ ორსულ შვილს სასტიკად სცემა, ხოლო შემდეგ თავი მოიკლა




ჩოხატაურის რაიონის სოფელ სურებში დედა არასრულწლოვან ორსულ შვილს ფიზიკურად გაუსწორდა. დედამ შვილს ჯერ ჯოხით სცემა, შემდეგ კი სახლიდან გააგდო. რამდენიმე ხანში კი დედამ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

შემთხვევა რამდენიმე დღის წინ მოხდა. მეზობლები ამბობენ, რომ ტრაგიკული შემთხვევის მიზეზი ის იყო, რომ გოგონა გათხოვილი არ იყო. დედამ რომ გოგონას ორსულობა შეიტყო, შვილი ჯერ სახლიდან გააგდო და შემდეგ კი თავი მოიკლა.

მომხდართან დაკავშირებით ადგილზე საპატრულო და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა არ გამოუძახებიათ.

**ნიუპოსტი**

# მაგდა პაპიძემ ის პოლიციელები აღწერა, რომლებმაც მასზე იძალადეს



ადამიანის უფლებათა ცენტრმა სტრასბურის სასამართლოსთვის, მსჯავრდებულ მაგდა პაპიძის საჩივარი მოამზადა.

ქმრისა და შვილის მკვლელობაში მსჯავრდებული მაგდა პაპიძე დეტალურად აღწერს იმ პოლიციელებს, რომლებმაც მასზე იძალადეს.

„2015 წლის 22 დეკემბერს, თბილისის პროკურატურაში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, შსს-ს თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით გადამეტების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით. 2016 წელს მაგდა პაპიძის ცემა/წამების საქმეზე გამოძიება შეწყდა. საქმის მასალებიდან ჩანს, რომ გამოძიება სერიოზული ხარვეზებით წარიმართა.

მოცემულ საქმეში პროკურატურამ არ უზრუნველყო ზედმიწევნითი და დროული გამოძიება და არასათანადო მოპყრობის მსხვერპლის გონივრული ჩართულობა. გამოძიებამ არ ჩაატარა მსხვერპლის მიერ დასახელებული შესაძლო დამნაშავე პირების ამოცნობა, მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებელმა დეტალურად აღწერა მასზე მოძალადე პოლიციელები. სავარაუდო დანაშაულის ჩამდენი პირების გამოსავლენად არც სხვა სახის საგამოძიებო მოქმედებები ჩატარებულა.

მაგდა პაპიძე უთითებდა პოლიციის განყოფილების კონკრეტულ ოთახზე, სადაც მის მიმართ პოლიციელები დანაშაულებრივად მოქმედებდნენ, ასევე, დეტალურად აღწერა 4 პირი (სავარაუდო ასაკი, სიმაღლე, აღნაგობა, თმის და თვალის ფერი, ტანსაცმელი და სხვა). აღნიშნული პიროვნებების ვინაობის დასადგენად საგამოძიებო მოქმედებები არ ჩატარებულა. გამოძიებას არ დაუკითხავს საგამოძიებო მოქმედებებში ჩართული და პოლიციის განყოფილებაში მყოფი ყველა პირი.

გამოძიებამ არ ჩაატარა ექსპერტიზა შესაძლო ფეხმძიმობის მოშლისა და სექსუალური ძალადობის ფაქტის დადგენის თაობაზე. ექსპერტს არ დაუსვა კონკრეტული, სპეციფიკური შეკითხვები. არ ჩატარებულა ექსპერტიზა ორსულობის შეწყვეტის მიზეზის დადგენის მიზნით.

გამოძიებამ მსხვერპლს არ მისცა გამოძიების პროცესში მონაწილეობის საკმარისი შესაძლებლობა. მას არ მიანიჭეს დაზარალებულის სტატუსი, რითაც წაერთვა საქმის მასალების გაცნობის შესაძლებლობა. მსხვერპლი არ ფლობდა ინფორმაციას გამოძიების მიმდინარეობის/შეწყვეტის შესახებ. ხოლო გამოძიების შეწყვეტის შესახებ 2016 წლის 2 ივნისის დადგენილება ეყრდნობოდა მხოლოდ პოლიციელების ჩვენებებს.

ადამიანის უფლებათა ცენტრი მიიჩნევს, რომ მაგდა პაპიძის მიმართ არსებითად დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 და მე-14 მუხლები"— წერია განცხადებაში.

2016 წლის 4 ივლისს, ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ მაგდა პაპიძე დამნაშავედ ცნო ქმრისა და შვილის მკვლელობაში (დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით). 2016 წლის 6 ივლისს, თბილისის საქალაქო სასამართლომ მას უვადო თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, — აღნიშნულია განცხადებაში.

# პატრულთან, რომელმაც ახალციხეში რძალსა და ძმისშვილს სცემა, საპროცესო გაფორმდა



ახალციხეში, საპატრულო პოლიციის თანამშრომელს გოჩა ბლუაშვილს, რომელსაც პროკურატურა რძალსა და არასრულწლოვანი ძმისშვილის ცემაში ადანაშაულებს, საპროცესო შეთანხმება გაუფორმდა. ინფორმაციას „სამხრეთის კარიბჭე" ავრცელებს.

ამ საქმეზე წინასასამართლო სხდომა უნდა გამართულიყო, თუმცა პროცესზე მხარეებმა საპროცესო გარიგების შესახებ მოსამართლესთან შუამდგომლობა დააყენეს. გოჩა ბლუაშვილმა ბრალი სრულად აღიარა. შემდეგ კი პროკურორმა მამუკა ქომოშვილმა განაცხადა, რომ მხარეებს შორის საპროცესო გარიგებაზე შეთანხმება უკვე მიღწეულია და მოსამართლეს მისი დამტკიცება სთხოვა.

გოჩა ბლუაშვილს 1 წლით პირობითი მსჯავრი და 100 საათით საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა დაეკისრა.

9 აპრილს, სოფელ დვირში, გოჩა ბლუაშვილმა სიტყვიერი შელაპარაკების საფუძველზე ძმის მეუღლესა და მის არასრულწლოვან შვილს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. ამის შემდეგ, ბრალდებულის ძმამაც არასრულწლოვანი შვილების თანდასწრებით მეუღლეს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

# პროკურატურამ არჩილ ტატუნაშვილის საქმეზე კვალიფიკაცია დაამძიმა



საქართველოს პროკურატურამ არჩილ ტატუნაშვილის ცხედრის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის და საქმის მასალების საფუძველზე საქმეზე კვალიფიკაცია შეცვალა. როგორც „ინტერპრესნიუსს" მთავარი პროკურატურიდან აცნობეს, გამოძიება გაგრძელდება ჯგუფურად, განსაკუთრებული სისასტიკით და მსხვერპლის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით ჩადენილი განზრახ მკვლელობის, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ორი ან მეტი პირის მიმართ თავისუფლების უკანონო აღკვეთის და ჯგუფურად ჩადენილი თავისუფლებააღკვეთილი პირის წამების ფაქტზე, რამაც დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

„საქმეზე გამოძიება, რომელსაც აწარმოებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტი, არჩილ ტატუნაშვილის და მასთან ერთად მყოფი პირების ი.პ.-ს და ლ.ქ.-ს თავისუფლების უკანონო აღკვეთასა და არჩილ ტატუნაშვილის განზრახ მკვლელობის ფაქტზე სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით და 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ" ქვეპუნქტით მიმდინარეობდა. გამოძიების ფარგლებში 2018 წლის 31 მაისს მიღებული იქნა არჩილ ტატუნაშვილის გვამის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, რომლის თანახმადაც, არჩილ ტატუნაშვილს სხეულზე აღენიშნებოდა 100-ზე მეტი დაზიანება ჭრილობების, მოტეხილობის, სისხლნაჟღენთების, სისხლჩაქცევებისა და ნაჭდევების სახით. დაზიანებები სიცოცხლისდროინდელია და განვითარებულნი არიან რაიმე მკვრივი — ბლაგვი საგნის მრავალჯერადი მოქმედების შედეგად. დაზიანებები ზოლისებური ფორმის სისხლნაჟღენთების (არანაკლებ 46) სახით განვითარებულნი არიან რაიმე შემოსაზღვრული (ბრტყელი და/ან ცილინდრული) ზედაპირის მქონე საგნის (საგნების) მრავალჯერადი ზემოქმედებით.

შესაბამისად, საქმის მასალებიდან და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნაში მითითებული დაზიანებებიდან გამომდინარე, პროკურატურამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ საქმეზე არსებული კვალიფიკაცია დამძიმდეს და გამოძიება გაგრძელდეს საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე", მე-3 ნაწილის „ბ" და „ვ" ქვეპუნქტებით (განზრახ მკვლელობა — ჯგუფურად, განსაკუთრებული სისასტიკით და მსხვერპლის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით); 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" და „გ" ქვეპუნქტებით (თავისუფლების უკანონო აღკვეთა — წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ორი ან მეტი პირის მიმართ); 144-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „ე" და „ზ" და მე-3 ნაწილის „გ" ქვეპუნქტებით (წამება — ჯგუფურად, დაკავებულის ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირის მიმართ, რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა), რაც სასჯელის სახედ და ზომად თავისუფლების აღკვეთას თექვსმეტიდან ოც წლამდე ან უვადოდ ითვალისწინებს", — ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ 22 თებერვალს, საოკუპაციო რეჟიმმა საქართველოს 3 მოქალაქე — არჩილ ტატუნაშვილი, ლევან ქუტაშვილი და იოსებ პავლიაშვილი, ახალგორში დააკავა. 23 თებერვალს კი ცნობილი გახდა, რომ არჩილ ტატუნაშვილი გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა.

26 დღის შემდეგ, 20 მარტს, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მეშვეობით ოკუპირებულმა ცხინვალმა არჩილ ტატუნაშვილის ცხედარი ოჯახს გადასცა. ცხედარს სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში ექსპერტიზა ჩაუტარდა.

# ტრამპმა გენპროკურორი გააკრიტიკა

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებ-



ში რუსების ჩარევის საქმის გამოძიება გაჭიანურდა. ტრამპმა ამაში გენპროკურორ სეშნსს დასდო ბრალი.

— სეშნსი გვერდზე გადგა. ამან დამღუპველი შედეგები იქონია, — ამბობს პრეზიდენტი.

ტრამპის აზრით, რუსების ჩარევის გამოძიება კუდიანებზე ნადირობას დაემსგავსა. მან კვლავ მოუწოდა სეშნსს, რომ თავისი სიტყვა თქვას.

— ასეთ სიტუაციაში გენპროკურორი აუცილებლად უნდა ჩაერიოს, — თქვა ტრამპმა.

# ირანი ბირთვულ პროგრამას განაახლებს

ირანი ბირთვულ პროგრამაზე მუშაობას განაახლებს. ამის თაობაზე ირანის გაერთი-



ანებული ატომური ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, გენერალმა ალ სალეჰმა განაცხადა.

— რაკი ტრამპი ჩვენთან დადებული ბირთვული შეთანხმებიდან გამოვიდა, ხელ-ფეხი გახსნილი გვაქვს, — თქვა სალეჰმა.

გენერალმა ხაზი გაუსვა, რომ ირანს ბირთვული იარაღი აუცილებლად ექნება.

— ჩვენ შეჩერებას ვერავინ და ვერაფერი შეძლებს, — აცხადებს სალეჰი.

# კაჩინსკის თვითმფრინავში აფეთქების კვალი აღმოაჩინეს

პოლონეთის პრეზიდენტ ლეხ კაჩინსკის სიკვდილის შემსწავლელმა კომისიამ სენსაციური დასკვნა გაასაჯაროვა: პრეზიდენტის თვითმფრინავში ასაფეთქებელი ნივთიერების



კვალი აღმოაჩინეს.

— აფეთქება თვითმფრინავის ბორტზე მოხდა, — ამტკიცებენ კომისიის წევრები.

პოლონეთის პრეზიდენტი კაჩინსკი 2010 წელს სმოლენსკთან ავიაკატასტროფაში დაიღუპა. ვარაუდობენ, რომ ეს რუსული სპეცსამსახურების ნახელავია. ახლა კომისიამ მოიპოვა კიდევ ერთი ფაქტი, რომელიც პოლონეთის პრეზიდენტის ძალადობრივ სიკვდილზე მიუთითებს.

# ლუცენკო: „უკრაინაში 47 ჟურნალისტი უნდა მოეკლათ“

გრძელდება აჟიოტაჟი უკრაინაში მცხოვრები რუსი ჟურნალისტის არკადი ბაბჩენკოს გარშემო. უკრაინის გენერალურმა პროკურორმა იური ლუცენკომ განაცხადა, რომ დადგენილია 47 ჟურნალისტის ვინაობა, რომლებიც ლიკვიდაციას ექვემდებარებოდნენ. აღნიშნული პირები უშიშროებაში დაიბარეს. მათ პირადად უკრაინის უშიშროების სამსახურის (სბუ) შეფი, გენერალი გრიცაკი შეხვდა. ხსენებული პირები გააფრთხილეს მოსალოდნელი საფრთხის შესახებ. ამის შემდეგ ჟურნალისტებს დაცვა დაუნიშნეს.

ლუცენკომ მეტი დაკონკრეტება არ ისურვა. მან არ დაასახელა ის პირები, რომელთა მიმართაც რუსები ტერაქტებს გეგმავდნენ. ეს უკრაინელმა ჟურნალისტებმა გააკეთეს.

„სტრანამ“ იმ 47 ადამიანის სია გამოაქვეყნა, რომლებიც ლიკვიდაციას ექვემდებარებოდნენ. ამან გამსკდარი ბომბის ეფექტი იქონია. სიაში ცნობილი ჟურნალისტები და ბლოგერები არიან. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ ევგენი კისელიოვი და მატვეი განაპოლსკი. ორივე რუსეთის მოქალაქეა. ისინი პუტინის ავ-




ტორიტარულ რეჟიმს უკრაინაში გაექცნენ. განაპოლსკიცა და კისელიოვიც პუტინის რეჟიმს საჯაროდ ამხელდნენ, ავრცელებდნენ მართალ ინფორმაციას დონბასსა თუ ყირიმში მიმდინარე მოვლენების შესახებ. მათ გარდა სიაში ცნობილი უკრაინელი ჟურნალისტებიც მოხვდნენ. ამათგან უწინარეს ყოვლისა უნდა გამოვყოთ ტატიანა დანილენკო, ნატაშა ვლასჩენკო, ვიტალი პორტნიკოვი და ა.შ.

ექსპერტები ყურადღებას ამახვილებენ რუსეთის პარლამენტის ყოფილი დეპუტატის ილია პონომარიოვის სიტყვებზე. როცა ბაბჩენკოს ე.წ. მკვლელობის შესახებ ინფორმაცია გავრცელდა, მან განაცხადა:

— ბაბჩენკო უკრაინელმა ნაციონალისტებმა მოკლეს!

დღეს უკვე ცნობილია, რომ პირი, რომელსაც ქილერის როლი უნდა შეესრულებინა, მართლაც მოხალისეთა ბატალიონის ერთ-ერთი წევრი იყო. მან რუსებისგან ფული მართლაც აიღო, თუმცა შემდეგ უშიშროებაში წავიდა და ყველაფერი განაცხადა. როგორც ჩანს, იგეგმებოდა მასშტაბური დესტაბილიზაცია. უკრაინა ფართომასშტაბიან ტერაქტებს უნდა მოეცვა და ეს იმგვარად უნდა მომხდარიყო, რომ ამაში რუსეთი ვერავის დაედანაშაულებინა. თუ უკრაინელი ნაციონალისტები კონტროლიდან გამოვიდოდნენ, მაშინ ქვეყანაც სამოქალაქო ომის ცეცხლში გაეხვეოდა. საბოლოოდ კი ყოველივე უკრაინის გახლეჩით უნდა დასრულებულიყო. ასეთი გახლდათ რუსული სქემა.

ბაბჩენკოს სია უდავოდ მიუთითებს ერთზე: უკრაინაში მასობრივი სისხლიანი პროვოკაციები მზადდება. საამისოდ კი სრულყოფილი ორგანიზაციის არსებობაა აუცილებელი.

დღეს უკრაინაში ფართოდ განშტოებული რუსული ჯაშუშურ-ტერორისტული ორგანიზაცია მოქმედებს. საქმეში წერტილის დასმა მხოლოდ მას შემდეგაა შესაძლებელი, როცა აღნიშნული ორგანიზაციის მხილება მოხერხდება.

# პუტინი ვენაში ჩავიდა

რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ავსტრიის დედაქალაქში ჩავიდა. ეს ინაუგურაციის შემდეგ პუტინის პირველი საზღვარგარეთული ვიზიტია.

ავსტრია ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის რუსეთისადმი ყველაზე მეგობრულადაა განწყობილი. სხვებისგან განსხვავებით, ავსტრიამ სკრიპალების მოწამვლის შემდეგ რუსი დიპლომატები არ გააძევა. ავსტრიის ხელისუფლების ზოგი წევრი კი აცხადებს, რომ რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციები უნდა გაუქმდეს.

— ჩვენ ევროკავშირის დაშლა არ გვსურს. ჩემი ვიზიტი ავსტრიაში ევროკავშირთან ურთიერთობების დალაგებას ემსახურება, — თქვა პუტინმა.

რუსეთის პრეზიდენტის ჭეშმარიტი მიზნები ტრადიციულად ვლადიმერ ჟირინოვსკიმ გაახმოვანა. მან განაცხადა, რომ ევროპაში არსებობს ქვეყნების მთელი ჯგუფი, რომელთაც რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციების გაუქმება სურთ. ავსტრია ერთ-ერთი მათგანია.

— მთავარია ავსტრიამ ჩვენს მიმართ დაწესებული სანქციები გააუქმოს და ამას მყისვე მიბაძავენ იტალია, საბერძნეთი თუ სხვები! — განაცხადა ჟირინოვსკიმ.



მან დაამატა, რომ ევროკავშირში მალე რუსეთისადმი მეგობრულად განწყობილი ქვეყნების მთელი ჯგუფი წარმოიქმნება. ისინი ოფიციალური ბრიუსელის გვერდის ავლით რუსეთთან ურთიერთობებს დაალაგებენ.

— ეს ქვეყნებია ავსტრია, უნგრეთი, იტალია, საბერძნეთი, — ამბობს ჟირინოვსკი.

# ფილიპინების პრეზიდენტი: „თუ ყველა ფილიპინელი ქალი ხელს მოაწერს პეტიციას, გადავდგები“



ფილიპინების პრეზიდენტი როდრიგო დუტერტე მზად არის თანამდებობიდან გადადგეს, თუ შესაბამის პეტიციას ხელს ყველა ფილიპინელი ქალი მოაწერს.

„თუ ყველა ქალი პეტიციას ხელს მოაწერს, მე თანამდებობიდან წავალ“, — განაცხადა დუტერტემ.

ფილიპინების პრეზიდენტი არასათანადო ქცევაში მას შემდეგ დაადანაშაულეს, რაც 3 ივნისს, ერთ-ერთ ღონისძიებაზე, წიგნის სანაცვლოდ ერთ-ერთ დაოჯახებულ ფილიპინელ ქალს აკოცა.

დუტერტეს ამ საქციელს სოციალური ქსელების მომხმარებლებისა და ფილიპინური უფლებადამცველი ორგანიზაციების მხრიდან მწვავე კრიტიკა მოჰყვა.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**


# განცხადებები

## სხვადასხვა

● დიდი გამოცდილების მქონე შპს მოგიგვარებთ ქვეწარმავლების, მღრღნელების, მწერების პრობლემას, ჩაგიტარებთ სადეზინფექციო სამუშაოებს. ტელ: 551-54-84-54; 599-74-04-51.

● სილამაზის სალონს ესაჭიროება გამოცდილი ქალის სტილისტი, მანიკური/პედიკურის სპეციალისტი და კოსმეტოლოგი. მის. ბორჯომის ქ. 6 (დეზერტირების ბაზართან). ტელ: 597050903; 558153660.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

## ჯანმრთელობა, მკურნალობა

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი — სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების თავიდან აცილება, ნერვული სისტემის და ღვიძლის პრობლემების ნორმალიზება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით, ტელ: 599-25-44-14 ექიმი მზია, 218-48-99 (სამსახ.). მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● პოტენციის დაქვეითებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციების ნორმალიზება, პროსტატის ჯირკვლისა და შარდვის პროცესების მოწესრიგება, ბაქტერიულ-სოკოვან ინფექციათა საწინააღმდეგო მოქმედება იმუნიტეტის გაძლიერებით, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან უჯრედულ დონეზე. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით. ტელ: 595-293-299; 218-46-08 (სამსახ.) ექიმი ინგა. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-5 სმ-ის მომატებით ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით+ვარჯიშები. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე გახდომა 5-15 კგ თვეში რაციონის შეუცვლელად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, სწრაფად და ეფექტურად. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● ძვლის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება — კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ართრიტის დროს. დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის ნორმალიზება მცენარეული საშუალებებით, საუკეთესო შედეგით. ტკივილისა და შებოჭილობის სინდრომის შემცირება უკუჩვენების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

# ისტორია ექსპერიმენტებს არ ცნობს




**ლუქსემბურგი-საქართველო 1:0**

**ლიოტცებერგი.** ჟოზი ბარტელი

1:0 იოაკიმი (69)

**ლუქსემბურგი:** მორისი (შონი 46), იანიში, იანსი,მაჰმუტოვიჩი (მალგეტი 71), გერსონი, მარტინს პერეირა, ო.ტილი (სკენდეროვიჩი 46), და მოტა (კარლსონი 86), ხოაკიმი (მუჩი 76), ტურპელი, ვ.ტილი (სინანი 58)

**საქართველო:** მაკარიძე, ნავალოვსკი (შერგელაშვილი 79), კაშია, ხოჭოლავა, კანკავა (კ), აბურჯანია (კიტეიშვილი 56), ჯიღაური (გეგეჭკორი 89), ჭანტურიშვილი, ხარაიშვილი (დვალი 56), კაჭარავა (ზივზივაძე 62), ბერიძე (ლობჟანიძე 46)

ლუქსემბურგთან დავმარცხდით. ისტორიას არ აინტერესებს, რა შემადგენლობით ითამაშა საქართველოს ნაკრებმა, რამდენი ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი გვაკლდა, რა ექსპერიმენტები ჩაატარა ვლადიმირ ვაისმა... ამიტომ, მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ ეროვნული ნაკრების თითოეულ მატჩს. რა თქმა უნდა, ამხანაგურ შეხვედრებში უნდა გამოიცადონ ახალი ფეხბურთელები, მაგრამ ამის გაკეთება შესაძლებელია ისე და ისეთი ოდენობით, რომ საქართველოს ნაკრების ისტორიაში ახალი შავი ფურცელი არ ჩაიწეროს. ამის ნაკლებობას ისედაც არ განვიცდით.

თამაშის ერთადერთი გოლის ავტორი 69-ე წუთზე ხოაკიმი გახდა. საქართველოს ნაკრებმა ლუქსემბურგში ხუთმატჩიანი წაუგებელი სერია შეწყვიტა.

საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა ვლადიმირ ვაისმა, მალტასთან შეხვედრისგან განსხვავებით, 8 ცვლილება განახორციელა. თავიდანვე მცირე უპირატესობა გვქონდა და უფრო გრძელი პასებით ვუტევდით. თუმცა, შუა ტაიმში ლუქსემბურგი გათამამდა და ჩვენს ნახევარზე ამოიწია. საქართველოს ნაკრებს მოედნის ცენტრში ბურთის დაჭერა უჭირდა.

მეორე ტაიმში ვაისმა ცვლილებებით სცადა თამაშში გარდატეხის შეტანა, მაგრამ დიდი ვერაფერი ხეირი ვნახეთ. 69-ე წუთზე კი იოაჰიმმა გაგვიტანა. შეტევა ჩვენი დაცვის მარჯვენა ფლანგიდან განხორციელდა. ვერც ცენტრალურმა მცველებმა ვერ ივარგეს, რომლებმაც მასპინძელთა გუნდის საუკეთესო ფეხბურთელი ვერ გაანეიტრალეს.

# სანდრო მამუკელაშვილი საქართველოს ნაკრებში ითამაშებს



სანდრო მამუკელაშვილი საქართველოს მოქალაქე გახდა. 23 მაისს 19 წლის გამხდარ პერსპექტიულ კალათბურთელს აქამდე ჩვენი ქვეყნის არც ერთ ასაკობრივ ნაკრებში არ უთამაშია. ის ამერიკის შეერთებულ შტატებში დაიბადა და იმ ქვეყნის მოქალაქეობა აქვს. მიუხედავად იმისა, რომ აკადემიის შემადგენლობაში საქართველოს 14 და 16 წლამდელთა ჩემპიონატებში უთამაშია, მოქალაქეობის არქონის გამო ნაკრებში ვერ აიყვანეს.

მამუკელაშვილმა გასული სეზონი ამერიკის სტუდენტური ლიგის ერთ-ერთ უძლიერეს, ბიგ ისთის კონფერენციის რიგიან გუნდ სეტონ ჰოლში გაატარა და იმის გამო, რომ თანაგუნდელებად 2-3 წლით უფროსი მოთამაშეები ჰყავდა, მოედანზე დიდი ხნით გასვლა არ უწევდა. თუმცა ის ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ ევროპელ ახალგაზრდად მიიჩნევა და როგორც დრაფტზე არჩევას, ისე დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

გასული წლის ზაფხულში მამუკელაშვილი თბილისში იმყოფებოდა და საქართველოს ნაკრების წევრებთან ერთად ჩეხეთთან მერიის თასის მატჩებს დაესწრო. ის ნაკრების მაისურით იმყოფებოდა სპორტის სასახლეში, მოგვიანებით კი, პირველ არხზე მიწვეულ სალამოს გადაცემაში განაცხადა, რომ საქართველოს ნაკრებში თამაში სურს.

ასეც მოხდა – ის მთავარი ბარიერი მოიშალა, რაც სანდროს ნაკრებში თამაშში უშლიდა ხელს. ოჯახის სურვილითა და კალათბურთის ფედერაციის დახმარებით მამუკელაშვილმა საქართველოს მოქალაქეობა მიიღო და ჩვენი ქვეყნის ღირსებას როგორც ეროვნულ, ისე 20-წლამდელთა ნაკრებში დაიცავს.

სანდრო მამუკელაშვილი 208 სანტიმეტრის სიმაღლისაა, თუმცა დრიბლინგი, სწრაფი მოძრაობა და ზუსტი შორი სროლა დიდებულად ეხერხება, რაც მის უნივერსალიზმს უსვამს ხაზს. მამუკელაშვილის სახით საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებმა დიდი ძალა მიიღო, რომელიც ჩვენს ეროვნულ გუნდსაც დიდად გამოადგება.

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები წლეულს გვარიანად შეივსო. მამუკელაშვილამდე 20-წლამდელთა ნაკრებს შეუერთდა და თბილისში, ევროპის ახალგაზრდული ლიგის ოთხთა ფინალშიც ითამაშა ლუკა ბულაშვილმა. გოგა ბითაძეს გასულ წელს 20-წლამდელებში გრაფიკის ეროვნული ნაკრებთან თანხვედრის გამო არ უთამაშია, თუმცა მას წელსაც უწევს ამ ასაკში თამაში და მამუკელაშვილთან, ბულაშვილთან, ნიკა დარბაიძესთან და კიდევ სხვა პერსპექტიულ ახალგაზრდებთან ერთად საქართველოს ნაკრებს მომავალ ევროპის ჩემპიონატზე ა დივიზიონში გადასვლის რეალური პრეტენდენტად აქცევს.

# ურუგვაი ფავორიტია, მეორე ადგილისთვის რუსეთი სალაჰთან იბრძოლებს

მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე სულ უფრო და უფრო ცოტა დრო რჩება. ამიტომ, ვიწყებთ ყველა გუნდის წარდგენას ჯგუფების მიხედვით.

### ა ჯგუფი

**რუსეთი, საუდის არაბეთი, ეგვიპტე, ურუგვაი**

**14 ივნისი რუსეთი-ს.არაბეთი 18:00**
**15 ივნისი ეგვიპტე-ურუგვაი 15:00**
**19 ივნისი რუსეთი-ეგვიპტე; 21:00**
**20 ივნისი ურუგვაი-ს.არაბეთი; 18:00**
**25 ივნისი ურუგვაი-რუსეთი; ს.არაბეთი-ეგვიპტე; 17:00.**

### რუსეთი

რუსეთის ფეხბურთის ფედერაცია 1912 წლის 19 იანვარს დაარსდა. 1946-1991 წლებში ის უეფას წევრი იყო, როგორც სსრკ ფეხბურთის ფედერაცია, ხოლო რუსეთის სახელით მსოფლიო ფეხბურთის მმართველ ორგანოში 1992 წლიდან არის რეგისტირებული.

რუსეთის ეროვნულმა საფეხბურთო გუნდმა პირველი საერთაშორისო შეხვედრა 1992 წლის 16 აგვისტოს გამართა და მექსიკა ანგარიშით 2:0 დაამარცხა.

არსებობის ისტორიაში რუსებმა ყველაზე დიდი ანგარიშით 1995 წლის 7 ივნისს და 2015 წლის 8 სექტემბერს იმარჯვეს, როდესაც პირველ შემთხვევაში სან მარინო, შემდეგ კი ლუქსემბურგი 7:0 გაანადგურეს.

თავად კი, ყველაზე დიდი ანგარიშით 2004 წელს 1:7 დამარცხდნენ პორტუგალიასთან.

ნაკრებში ყველაზე მეტი ჩატარებული მატჩი სერგეი იგნაშევიჩის (121). ყველაზე მეტი გოლი კი ალექსანდერ კერჟაკოვს (30) აქვს გატანილი.

ამჯერად რუსეთის ეროვნული საფეხბურთო ნაკრები მსოფლიო ფეხბურთის მართველი ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებულ რეიტინგში 66-ე ადგილს იკავებს.

რუსეთის ნაკრებმა (საბჭოთა კავშირის ნაკრების ჩათვლით) მსოფლიო ჩემპიონატზე სულ 11-ჯერ იასპარეზა. აქედან ყველაზე წარმატებული 1966 წლის ინგლისში ჩატარებული მუნდიალი იყო, რომელზეც მეოთხე ადგილი დაიკავა.

რაც შეეხება ევროპის ჩემპიონატზე თამაშს: 1960 წელს საბჭოთა კავშირის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. რუსეთის ნაკრები კი, რაც დამოუკიდებელი სახელით გამოდის, ყველაზე წარმატებული 2008 წლის ავსტრია-შვეიცარიის ევროპირველობა იყო. ჰოლანდიელი გუს ჰიდინკის მეთაურობით რუსეთის ნაკრებმა აღნიშნულ ტურნირზე ბრინჯაოს მედლები მოიპოვა.

2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე რუსეთის ეროვნულ ნაკრებს საბჭოთა კავშირისა და რუსეთის ნაკრების ყოფილი მეკარე სტანისლავ ჩერჩესოვი უხელმძღვანელებს. მან სამწვრთნელო კარიერა 2004 წელს დაიწყო. ყველაზე დიდ წარმატებას კი ვარშავის ლეგიაში მიაღწია. მისი ხელმძღვანელობით ლეგიამ 2016 წელს პოლონეთის ჩემპიონის ტიტული და პოლონეთის თასი მოიპოვა.

რუსეთის ეროვნულ ნაკრებს ის 2016 წლის აგვისტოში ჩაუდგა სათავეში.

მუნდიალზე რუსების შემადგენლობაში ყველაზე გამოცდილი რუსეთის ნაკრებისა და მოსკოვის ცსკა-ს 38 წლის ცენტრალური მცველი სერგეი იგნაშევიჩია, რომელსაც ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში ყველაზე მეტი 121 მატჩი აქვს ჩატარებული. ასევე, საკმაოდ გამოცდილი იური ჟირკოვის გამოყოფაც შეიძლება. რუსები საკმოდ დიდ იმედებს ამყარებენ ესპანური ვილიარეალის ნახევარმცველ დენის ჩერიშევზე, რომელზეც აშკარად მეტის მოლოდინი ჰქონდათ.

რუსეთის ეროვნული ნაკრები მშობლიურ მუნდიალზე ა ჯგუფში იასპარეზებს საუდის არაბეთის, ეგვიპტისა და ურუგვაის ნაკრებ გუნდებთან ერთად. სტანისლავ ჩერჩესოვის გუნდი ამხანაგურ შეხვედრებში საკმოდ უსახურ ფეხბურთს თამაშობს, თუმცა, არცთუ რთული ჯგუფია და საკუთარ კედლებში, რა თქმა უნდა, ჯგუფში მინიმუმ მეორე ადგილისთვის იბრძოლებენ.

**შემადგენლობა**

**მეკარეები:** იგოორ აკინფეევი (ცსკა), ვლადიმირ გაბულოვი (ბრიუგე), ანდრეი ლუნოვი (ზენიტი);

**მცველები:** ვლადიმირ გრანატი (რუბინი), სერგეი იგნაშევიჩი ( ცსკა), ფიოდორ კუდრიაშოვი (რუბინი), ილია კუტეპოვი ( სპარტაკი), ანდრეი სემიონოვი (ახმატი), იგორ სმოლნიკოვი (ზენიტი), მარიო ფერნანდესი (ცსკა);

**ნახევარმცველები:** იური გაზინსკი (კრასნოდარი), ალექსანდ გოლოვინი, ალან ძაგოევი (ორივე ცსკა), ალექსანდ ეროხინი, იური ჟირკოვი,დალერ კუზიაევი (ყველა ზენიტი), რომან ზობნინი, ალექსანდერ სამედოვი (ორივე სპარტაკი), ანტონ მირანჩუკი (ლოკომოტივი), დენის ჩერიშევი (ვილეარეალი);

**თავდამსხმელები:** არტიომ ძიუბა (ტულას არსენალი), ალექსეი მირანჩუკი (ლოკომოტივი), ფიოდორ სმოლოვი (კრასნოდარი).


## შედეგები

5 ივნისი

ფეხბურთი

ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| ყაზახეთი-აზერბაიჯანი | 3:0 |
| რუსეთი-თურქეთი | 1:1 |
| რუმინეთი-ფინეთი | 2:0 |
| ლუქსემბურგი-საქართველო | 1:0 |
| ამხანაგური მატჩი | (21) |
| ალბანეთი-ბელარუსი | 3:2 |

მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა





### საუდის არაბეთი

საუდის არაბეთის ფეხბურთის ფედერაცია 1956 წელს დაარსდა და იმავე წელს ფიფას წევრი გახდა. პირველი მატჩი 1957 წლის 17 ნოემბერს ლიბანთან გამართა და ფრედ – 1:1 ითამაშა.

მსოფლიო ფეხბურთის მმართველი ორგანიზაციის რეიტინგში 67-ე ადგილზეა.

ნაკრებში ყველაზე მეტი მატჩი მუჰამედ ალ-დეაიას (178) აქვს ჩატარებული, ხოლო ყველზე მეტი გოლი მაჯედ აბდულას (71) გაუტანია.

მიღწევებით დიდად ვერ დაიკვეხნის – აზიის თასის სამგზის გამარჯვებულია (1984, 1988, 1996);

რუსეთამდე ორი ეტაპი გაიარა: პირველიდან განთავისუფლებული იყო, მეორე ეტაპი იოლი აღმოჩნდა – ჯგუფში ოთხი მეტოქე ჰყავდა: პალესტინა, აღმოსავლეთ ტიმორი, მალაიზია და არაბეთის გაერთიანებული ემირატები. საუდელებმა 6 მატჩი მოიგეს და 2 ფრედ ითამაშეს.

მესამე ეტაპი გაცილებით რთული იყო. იგივე საემიროები, ტაილანდი, იაპონია, ავსტრალია და ერაყი ერგო მეტოქეებად. 6 მოიგო, 1 ფრედ ითამაშა და 3 წააგო, მაგრამ რუსეთის საგზური მაინც ირგუნა.

საუდის არაბეთის მუნდიალზე მოღვაწეობა 1994 წლიდან იწყება და ზედიზედ 4-ჯერ ითამაშა უმთავრეს საფეხბურთო ფორუმზე. დასაწყისი წარმატებული აღმოჩნდა – საუდელებმა ჯგუფური ეტაპი დაძლიეს და მერვედფინალი ითამაშეს. ეს ჩემპიონატი იმითიც იყო დასამახსოვრებელი, რომ მათმა შემტევმა, საიდ ალ-ოვაირანმა ბელგიასთან ისეთი გოლი გაიტანა, დღესაც ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება მუნდიალების ისტორიაში.

მომდევნო 3 ჩემპიონატი წარუმატებელი აღმოჩნდა და გუნდმა ვერც ერთ მატჩი ვერ მოიგო.

ვნახოთ, რა იქნება ამჯერად. საუდელებს ბარსელონას ყოფილი შემტევი, წარმოშობით არგენტინელი ხუან ანტონიო პიცი წვრთნის, რომელიც 2016 წელს ჩილეს ნაკრების თავკაცი იყო და 2016 წელს კოპა ამერიკა მოაგებინა, ხოლო გასულ წელს კონფედერაციის თასის ფინალში გაიყვანა, სადაც გერმანიის ნაკრებთან მინიმალური ანგარიშით დამარცხდა. თუმცა, მომავალი მუნდიალის შესარჩევ ტურნირში მეექვსე ადგილი დაიკავეს, რუსეთის საგზური ვერ მოიპოვეს, პიციმ ჩილე დატოვა და მისთვის მაშინვე გამოიძებნა სამსახური საუდის არაბეთში.

საუდის არაბეთის ნაკრების მთავარი ძალა 31 წლის შემტევი მოჰამედ ას-საჰლავია, რომელმაც შესარჩევ ციკლში 16 გოლი გაიტანა.

პროგნოზი? საუდელების მთავარი ამოცანა მეორე ადგილზე გასვლა იქნება, თუმცა მეტოქეები სერიოზულია: ურუგვაი, რომელიც ჯგუფის ფავორიტად მიიჩნევა, მასპინძელი რუსეთი და მოჰამედ სალაჰიანი ეგვიპტე. ასე რომ, საუდის არაბეთის შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი მინიმალურია.

**შემადგენლობა:**

**მეკარეები:** მოჰამედ ალ-ოვაისი (ალ-აჰლი), იასერ ალ-მოსაილემი (ალ-აჰლი), აბდულა ალ-მაიუფი (ალ-ჰილალი);

**მცველები:** მანსურ ალ-ჰარბი, მოთაზ ჰავსავი (ორივე ალ-აჰლი), იასერ ალ-შაჰრანი, ოსამა ჰავსავი, მოჰამედ ალ-ბურაიკი, ალი ალ-ბულაიჰი (ყველა ალ-ჰილალი), ომარ ოტმანი (ალ-ნასრი);

**ნახევარმცველები:** აბდულა ალ-ჰაიბარი (ალ-შაბაბი), აბდულა ოტაიფი, სალმან ალ-ფარაჯი, (ორივე ალ-ჰილალი), ტაისირ ალ-ჯასიმი (ალ-აჰლი), ჰუსეინ ალ-მაფჰავი, მოჰამედ კანო, ჰატან ბაჰბირი (ყველა ალ-შაბაბი), სალემ ალ-დოსარი (ვილიარეალი, ესპანეთი), იაჰია ალ-შერი (ლეგანესი, ესპანეთი);

**თავდამსხმელები:** ფაჰად ალ-მუვალადი (ლევანტე, ესპანეთი), მოჰამედ ას-საჰლავი (ნასრი), მოჰანად ასერი (ალ-აჰლი), აბდულმალელ ალჰაიბრი (ალ-ჰილალი).

### ეგვიპტე

ეგვიპტის საფეხბურთო ასოციაცია 1921 წელს დაარსდა და ორ წელიწადში ფიფას წევრიც გახდა, რომლის რეიტინგში 46-ე ადგილს იკავებს.

პირველი მატჩი 1920 წლის 28 აგვისტოს გენტში (ბელგია) გამართეს იტალიასთან და 1:2 დამარცხდნენ.

ყველაზე მეტი მატჩი აჰმედ ჰასანს (184) აქვს ჩატარებული, საუკეთესო ბომბარდირი კი ჰოსამ ჰასანია (70).

ეგვიპტის ნაკრები 7-ჯერ გახდა აფრიკის ჩემპიონი, რაც კონტინენტის საუკეთესო მაჩვენებელია. მსოფლიო ჩემპიონატზე კი, მესამედ მონაწილეობს.

რუსეთამდე გასავლელ გზაზე ეგვიპტელები პირველ რაუნდში თავისუფალნი იყვნენ, მეორე რაუნდში კი იოლად, 4:1, 0:1 დაამარცხეს ჩადის ნაკრები. მესამე რაუნდში, რომელიც ჯგუფური ეტაპი გახლდათ, მეტოქეებად კონგოს, განისა და უგანდის ნაკრებები ჰყავდათ. 4 მოგება, 1 ფრე და 1 წაგება – და მუნდილიას საგზური მოპოვებულია.

ეგვიპტელები 1990 წლის შემდეგ პირველად გავიდნენ მსოფლიო ჩემპიონატზე. როგორც გითხარით, ეგვიპტელები მსოფლიო ჩემპიონატზე ისტორიაში მესამედ ითამაშებენ. პირველად ეს 1934 წელს მოხდა. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ მაშინდელ შესარჩევ ციკლში ეგვიპტე ერთადერთი აფრიკული მონაწილე იყო... ორი მატჩის ჯამში აზიის ერთადერთი წარმომადგენელი პალესტინა დაამარცხა და იტალიის მუნდიალზე გაემგზავრა. იქ მხოლოდ ერთი მატჩი ჩაატარა, უნგრეთთან წააგო.

მეორე სტუმრობა მუნდიალზე ისევ იტალიაში მოუწიათ 1990 წელს, სადაც ფარაონებმა ყოჩაღად წარმოაჩინეს თავი, ჰოლანდიას და ირლანდიასთან ფრედ ითამაშეს, თუმცა ინგლისთან მინიმალური ანგარიშით დამარცხდნენ და ჯგუფში მაინც ბოლო ადგილი დაიკავეს.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# ურუგვაი ფავორიტია, მეორე ადგილისთვის რუსეთი სალაჰთან იბრძოლებს

დასაწყისი მე-9 გვერდზე

ამ გუნდის სიმბოლო ვეტერანი მეკარე ესამ ელ ჰადარია, რომელიც იანვარში 45 წლის გახდა და თუ მან რუსეთში ითამაშა, ყველაზე ასაკოვანი ფეხბურთელი გახდება მსოფლიო ჩემპიონატების ფინალური ეტაპების ისტორიაში. დღემდე ასეთად კოლუმბიელი ფარიდ მონდრაგონი ითვლება, რომელმაც ბოლო, ბრაზილიის მუნდიალზე 43 წლისამ დაიცვა თავისი ქვეყნის ნაკრების კარი.

ფარაონების მწვრთნელი ჩვენთვის კარგად ნაცნობი, 62 წლის არგენტინელი ექტორ რაულ კუპერია, რომელიც 2008-09 წლებში საქართველოს ნაკრების თავკაცი იყო. საფეხბურთო სამყაროში კუპერს „ფინალისტის სტატუსი" აქვს მინიჭებული. ჯერ არგენტინული ურაკანი გაიყვანა მეორე ადგილზე, მერე მალიორკა მიიყვანა ესპანეთისა და თასების თასის ფინალამდე, შემდეგ ინტერთან ერთად ორჯერ იყო მეორე სერია ა-ში, ბერძნული არისიც კი უთამაშებია ქვეყნის თასის ფინალში. თუმცა მისი სახელი უმთავრესად მაინც შესანიშნავ ვალენსიასთან ასოცირდება, რომელიც ორიათასიანების დასაწყისში ორჯერ გაიყვანა ჩემპიონთა ლიგის ფინალში და იქაც ჯერ რეალთან, შემდეგ კი ბაიერნთან დამარცხდა.

მეკარე - ვეტერანი კარგია, მაგრამ ეგვიპტის დღევანდელი ნაკრების (და არა მარტო ეგვიპტის ნაკრების) მთავარი ვარსკვლავი უთუოდ ლივერპულის 25 წლის შემტევი მოჰამედ სალაჰია. მის გარეშე ფარაონები ნამდვილად ვერაფერს გახდებოდნენ. მომო რუსეთში ეგვიპტელთა მთავარი იმედი იქნება.

დიდი მნიშვნელობა ექნება იმ ფაქტს, თუ როგორ ფორმაში იქნება სალაჰი, რომელიც ტრავმირებულია და არავინ იცის, როდის შევა ჩვეულ ფორმაში. ვფიქრობთ, ფარაონები ჯგუფიდან გააღწევენ...

**ურუგვაი**

ურუგვაის ფეხბურთის ფედერაცია 1901 წელს დაარსდა და ფიფას წევრი 1923 წელს გახდა. პირველი მატჩი 1901 წლის 26 მაისს, არგენტინის ეროვნული ნაკრების წინააღმდეგ ითამაშეს და მეტოქე 4:2 დაამარცხეს. სადღეისოდ, ფიფას რეიტინგში 22-ე ადგილს იკავებს.

ეროვნულ ნაკრებში ყველაზე მეტი მატჩი მაქსი პერეირამ ჩაატარა (124), ხოლო ყველაზე მეტი გოლი ლუის სუარესის ანგარიშზეა (49).

აღსანიშნავია, რომ მიღწევების მხრივ სამხრეთ ამერიკელები სხვებზე მეტად დაიკვეხნიან. დაარსებიდან დღემდე „ლა სელესტემ" ორჯერ მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა (1930 და 1950 წლებში). საერთოდაც, პირველი ნაკრებია, რომელმაც პლანეტის საუკეთესო გუნდის ტიტული ირგუნა. ურუგვაი 15-ჯერ გახდა კოპა ამერიკის გამარჯვებული და ზედიზედ ორჯერ იმარჯვა ოლიმპიურ თამაშებში (1924-1928 წლებში).

რუსეთამდე გზა საკმაოდ კარგად გაიარეს: ოსკარ ტაბარესის შეგირდებმა მსოფლიო ჩემპიონატის საგზურისთვის 10 გუნდიან ჯგუფში მე-2 ადგილი დაიკავეს და ბრაზილია ვერა, მაგრამ არგენტინის ნაკრები კი ჩამოიტოვეს. შეგახსენებთ, ურუგვაის ეროვნულ გუნდს მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟულ ტურნირზე მოსახვედრად ბრაზილიის, არგენტინის, კოლუმბიის, პერუს, ჩილეს, პარაგვაის, ბოლივიისა და ეკვადორის ნაკრებები ეცილებოდნენ.

დიდი ისტორიის მქონე ურუგვაის ნაკრები რუსეთში გაემგზავრება და თავის სიტყვას ოსკარ ტაბარესის თავკაცობით იტყვის, რომელიც „ლა სელესტეს" 2006 წლიდან წვრთნის და სამხრეთ ამერიკის საუკეთესო მწვრთნელად 2010, 2011 და 2012 წლებში დასახელდა. აღსანიშნავია, რომ ტაბარესის მწვრთნელობის პერიოში ურუგვაი, 2010 წელს, მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალში გავიდა, ხოლო ერთ წელში კოპა ამერიკა მეთხუთმეტედ მოიგო.

ურუგვაის ნაკრებმადე ტაბარესს არაერთ კლუბში უმუშავია – მილანი, კალიარი, ოვიედო...

ურუგვაელთა მთავარი ვარსკვლავი ბარსელონელი ლუის ლუარესია. მასზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. მის გარდა, გუნდში არიან ისეთი ფეხბურთელები, როგორებიც ედინსონ კავანი და დიეგო გოდინია. კავანი შეტევაში ლუარესს შეუწყვილდება, ხოლო გოდინი დაცვას გაამაგრებს. სხვა ფეხბურთელებიდან ვერავინ „ვარსკვლავობს", მაგრამ კარგად შეკრული და შეთამაშებული გუნდია.

რუსეთში ურუგვაის ეროვნული გუნდის მიზანი ჯგუფურ ეტაპზე პირველი ადგილისთვის ბრძოლა იქნება, რადგან მეტოქეები არცთუ მაღალი კლასის გუნდები იქნებიან. ტაბარესის გუნდის ერთადერთ მთავარ კონკურენტად, მოჰამედ სალაჰის ეგვიპტის ნაკრები უნდა მივიჩნიოთ.

**23-კაციანი შემადგენლობა**

**მეკარეები:** მარტინ კამპანია (ინდიპენდენტე), ფერნანდო მუსლერა (გალათასარაი), მარტინ სილვა (ვასკო და გამა);

**მცველები:** დიეგო გოდინი (ატლეტიკო), სებასტიან კოატესი (სპორტინგი), ხოსე ხიმენესი (ატლეტიკო), მაქსი პერეირა (პორტუ), გასტონ სილვა (ინდიპენდენტე), მარტინ კასერესი (ლაციო), გილერმო ვარელა (პენიაროლი);

**ნახევარმცველები:** ნაიტან ნანდეს? (ბოკა ხუნიორსი), ლუკას ტორეირა (სამპდორია), მატია სვესინო (ინტერი), როდრიგო ბენტაკური (იუვენტუსი), კარლოს სანჩესი (მონტერეი), დიეგო ლაკსალტი (ჯენოა), ჯორჯიან დეარასკაეტა (კრუზეირო), კრისტიან როდრიგესი (პენიაროლი), ხონათან **ურეტავისკაია (მონტერეი);**

**თავდამსხმელები:** კრისტიან სტუანი (ჟირონა), მაქსი გომესი (სელტა), ედინსონ კავანი (პსჟ), ლუის სუარესი (ბარსელონა).

## ბატი ტაბლოს დაეჯახა და ბეისბოლის მატჩი შეწყვიტა



აშშ-ში ბეისბოლის მატჩი სტადიონზე მოულოდნელად შეფრენილმა ბატმა შეწყვიტა, რომელიც ანგარიშის ტაბლოს დაეჯახა.

ინციდენტი დეტროიტში რამდენიმე დღის წინ „ლოს-ანჯელეს ენჯელსისა" და „დეტროიტ ტაიგერსის" მატჩის დროს მოხდა. ფრინველმა რამდენჯერმე შემოუფრინა სათამაშო მოედანს, ხოლო როდესაც მისი გაგდება სცადეს, დამფრთხალი ტაბლოს დაეჯახა და ტრიბუნაზე ჩამოვარდა.

ბატი იმ წამსვე დაიჭირეს, სტადიონის ფარგლებს გარეთ გაიყვანეს და გაუშვეს. სტადიონის თანამშრომლების მტკიცებით, ფრინველი ამ ინციდენტის შედეგად არ დაშავებულა.

## მოსწავლე ავტობუსში ათი პენის არქონის გამო არ აუშვეს




ათი წლის ბავშვი ბრიტანეთის ქალაქ ნოტინგემიდან იძულებული გახდა, სკოლაში ფეხით წასულიყო, ვინაიდან მას ავტობუსით მგზავრობის საფასურზე ათი პენი დააკლდა.

ბავშვის დედამ ამანდა ჯონსონმა დაიჩივლა, რომ მის შვილს ჯოვანი ბოჯანგუს გზის პირზე სრულ მარტოობაში 45 წუთი ფეხით გავლა მოუწია. მთელი ამ დროის განმავლობაში ის შვილს ავტობუსის გაჩერებაზე ელოდა. ჯონსონის თქმით, ჩვეულებრივ მისი შვილი საზოგადოებრივი ტრანსპორტით არ სარგებლობს და ამიტომ არ იცოდა, რომ მგზავრობის საფასური გაიზარდა.

– ის ავტობუსში ავიდა და მძღოლს ერთი ფუნტი გაუწოდა, რაზეც მან უპასუხა, რომ კიდევ ათი პენი იყო საჭირო, და როდესაც ჯოვანიმ მიუგო, რომ მას ფული არ ჰქონდა, ის ავტობუსიდან ისე გამოაგდეს, რომ ის ერთი ფუნტიც არ დაუბრუნეს უკან, მიუხედავად იმისა, რომ მან მოითხოვა, – განაცხადა ბავშვის დედამ.

ნოტინგემის სატრანსპორტო კომპანიის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მათთვის ინციდენტის შესახებ ცნობილია, მაგრამ მასზე კომენტარის გაკეთებას არ აპირებენ.

## ბრიტანელი თავში ქვის მოხვედრის შემდეგ გეიშა გახდა



დიდი ბრიტანეთის მცხოვრებმა ემილი როჯერსმა განაცხადა, რომ ეპილეფსიას გეიშად გარდასახვით ებრძვის.

დევონშირის საგრაფოს ქალაქ ტოტნესის მკვიდრმა ქალბატონმა აღიარა, რომ მას დაავადება რვა წლის წინ დაუდგინეს, მას შემდეგ, როდესაც მან თავი გრანიტის ნაჭერს დაარტყა. 39 წლის როჯერსმა აღნიშნა, რომ ეპილეფსიურ შეტევებს მთელი ცხოვრებაა ებრძვის, რის გამოც მას დეპრესია განუვითარდა. ასეთი მდგომარეობიდან გამოსვლაში კი მას გეიშებზე წიგნი დაეხმარა.

მისი წაკითხვის შემდეგ ქალმა ფსევდონიმად ხაჩიკო აილო, რომელიც, მისი თქმით, იაპონურად „პატარა ლოტოსს" ნიშნავს და გეიშად გარდაისახა. ყოველდღე როჯერსი ორ საათს ანდომებს იაპონური ტრადიციული სამოსის ჩაცმას და მაკიაჟის გაკეთებას. ის ასეთი სახით სეირნობს ქალაქის ქუჩებში, შედის მაღაზიებში.

როჯერსის თქმით, მისი გატაცება ეპილეფსიისგან განკურნებაში ვერ შველის, მაგრამ სამაგიეროდ დეპრესიის დაძლევაში დაეხმარა. ის არასოდეს ყოფილა იაპონიაში და ამ ქვეყანას მხოლოდ წიგნებით ეცნობა. ის ასევე სწავლობს ამომავალი მზის ქვეყნის ტრადიციულ ინსტრუმენტებზე – ფლეიტა სიაკუხატისა და სამსიმიან სიამისენეზე დაკვრას.

## ბავშვობის მეგობარი გოგონები ღვიძლი დები აღმოჩნდნენ



დიდი ბრიტანეთის მცხოვრებმა აღმოაჩინა, რომ მის ბავშვობის მეგობარი სინამდვილეში მისი სისხლისმიერი და იყო.

კარა ჯეინ ფარარ პეტერსონმა ბევრი წელი შეალია იმის გარკვევას, თუ ვინ იყო მისი ნამდვილი მამა. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ დედამისი ექვსჯერ იყო გათხოვილი და როდესაც ის ჯერ კიდევ ბავშვი იყო, დედამისი ფსიქიკური აშლილობით საავადმყოფოში აღმოჩნდა. კარამ 52 წლის ასაკში გაარკვია, რომ კარენ სმიტი, რომელთანაც ის სულ მცირე ასაკიდან მეგობრობდა, მისი სისხლისმიერი და აღმოჩნდა.

გოგონებმა ერთმანეთთან კავშირი მას შემდეგ დაკარგეს, როდესაც პეტერონი დედის ავადმყოფობის გამო ბავშვთა სახლში გააგზავნეს. 2015 წელს მათ ურთიერთობა ფეისბუქის დახმარებით განაახლეს. მათ აღმოაჩინეს, რომ მათი ფოტოსურათები ძალიან ჰგავდა ერთმანეთს და გადაწყვიტეს დნმ-ის ტესტი გაევლოთ. მან კი აჩვენა, რომ ისინი ერთი მამის შვილები იყვნენ.

– ამან საკუთარი თავის აღქმა მთლიანად შემიცვალა. თავს ყოველთვის მარტოსულად ვგრძნობდი, ახლა კი, როგორც იქნა, სახლი და ნათესავები შევიძინე. ვისურვებდი, რომ უკან, წარსულში დავბრუნებულიყავი და უფრო მეტი დრო გამეტარებინა ჩემი დის გვერდით. ჩვენ შორის ყოველთვის იყო კავშირი, მიუხედავად იმისა, არ ვიცოდით, რომ დები ვიყავით, – განაცხადა პეტერსონმა.

## ინდოელმა დედა ქათმის კარის მომზადებაზე უარის გამო მოკლა



ინდოეთში მთვრალმა მამაკაცმა ხანდაზმული დედა იმის გამო მოკლა, რომ მისთვის ქათმის კარის მომზადებაზე უარი უთხრა.

ინციდენტი ანდხრა-პრადეშის შტატის სოფელ ბადეპურანში მოხდა. 45 წლის სოფლის ექიმმა ბეჯამ კიშორემ თავის 80 წლის დედას დილით მიუტანა ქათამი და სთხოვა, რომ სადილისთვის კარი მოემზადებინა, თავად კი სასმელისთვის მაღაზიაში წავიდა. როდესაც მამაკაცი სახლში უკვე ნასვამი დაბრუნდა, აღმოჩნდა, რომ სადილი მომზადებული არ იყო. მან ჯერ უყვირა დედას, შემდეგ კი დანა დაარტყა. ქალი ადგილზევე დაიღუპა.

კიშორე დანაშაულის ადგილიდან გაიქცა. ყვირილის ხმა მეზობლებმა გაიგონეს და პოლიცია გამოიძახეს. ინდოელის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა და მასზე ძებნა გამოცხადდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

### 7 ივნისისთვის



**ვერძი** – ნებისმიერ დაბრკოლებას გადალახავთ, რაშიც თქვენი ენერგიულობა და პრინციპულობა დაგეხმარებათ. **კურო** – ახალი ნაცნობობა იღბლიანია. საქმიანი კონტაქტებისთვისაც შესაფერისი დღეა. გეგმებს იდეალურად განახორციელებთ. **ტყუპები** – რეალური ცხოვრება თქვენს შინაგან სამყაროზე თანდათან სულ უფრო მეტად აისახება. გაუფრთხილდით ოჯახურ ურთიერთობებს. **კირჩხიბი** – წარმატების მიღწევაში თქვენი პიროვნული მომხიბვლელობა დიდ როლს ითამაშებს. ერიდეთ კონფლიქტს საყვარელ ადამიანთან. **ლომი** – რისკი გაუმართლებელია. კრიტიკული დღეა. კომერციული ოპერაციები სხვა დროისათვის გადადეთ. **ქალწული** – უსიამოვნო განწყობა გაქვთ, რაც გარშემომყოფების აგრესიას იწვევს. ემოციებს ნუ გამოავლენთ. **სასწორი** – წინააღმდეგობრივი დღეა. დილით თქვენი გეგმების რეალიზებას ადვილად შეძლებთ. საღამოს არასასურველი ტენდენციები მძლავრობს. **ღრიანკალი** – წარმატება მხოლოდ თქვენს სიმშვიდესა და თავშეკავებაზეა დამოკიდებული. იყავით მამაცი. **მშვილდოსანი** – გარშემომყოფებთან ჰარმონიული ურთიერთობა გაქვთ. დიდ სიამოვნებას მოგანიჭებთ სტუმრების გამასპინძლება. **თხის რქა** – ნებისმიერ საქმეს შემოქმედებითად მიუდექით. ენერგიას ფუჭად ნუ დახარჯავთ. **მერწყული** – წვრილმანი საოჯახო პრობლემების მოგვარება მოგიწევთ. ბავშვებს მეტი ყურადღება დაუთმეთ. **თევზები** – ილუზიებს არ აჰყვეთ. დაპირებების გაცემისგან თავი შეიკავეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ტექსტიდან სიტყვა-სიტყვით მოყვანილი ნაწყვეტი; 2. კერძო მეწარმე სოფლად; 3. პირველი მაჯის საათების შემქმნელი გერმანელი მექანიკოსი; 4. მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის იტალიური ენციკლოპედია; 8. იტალიელი საესტრადო მომღერალი, კინომსახიობი მამაკაცი; 9. სითხის ან აირის წნევის გასაზომი ხელსაწყო; 11. პატარა თევზსაჭერი გემი; 12. რევაზ ლაღიძის ოპერა; 14. მდინარე ფლორენციაში; 16. მკვლელობათა საქმეების გამომძიებელი აშშ-ში; 17. მოკლებეწვიანი მონადირე ძაღლის ჯიში; 19. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 21. რძის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა.

**თარაზულად:** 5. თვალის რქოვანა გარსის ანთება; 6. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი; 7. ცნობილი ქართველი ჩოგბურთელი მამაკაცი; 10. სარეცხი მანქანის გამომგონებელი ამერიკელი მექანიკოსი; 13. ოქროს მოპოვებისა და დამუშავების ერთ-ერთი ცენტრი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში; 15. უმოტორო თვითმფრინავი; 18. ქართველი მსახიობი მამაკაცი, ხუთგზის სტალინური პრემიის ლაურეატი; 20. ფრანგული საიუველირო ფირმა; 22. მსხვილი სამრეწველო-ფინანსური გაერთიანება; 23. ეკოლოგთა, მწვანეთა საერთაშორისო ორგანიზაცია; 24. კოსმოდრომი იაპონიაში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ექსტაზი; 2. რენძიუ; 3. კომპლექსი; 4. შურთხი; 5. მალპენსა; 7. აუდი; 11. ლენტეხი; 13. ჩხავერი; 15. გრევე; 16. ლეგია; 18. ნაღმი; 19. იუდეა.

**თარაზულად**: 6. ქრთამი; 8. კეიტონი; 9. მარჩილი; 10. არქიელი; 12. ნუარე; 14. დილანი; 17. სტაგნაცია; 22. ღვეზელი; 21. ავერსი; 22. მეტეხი; 23. რადამესი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. ლოკალი; 2. ბონდერი; 7. პიროლიზი; 4. სკორსეზე; 8. კოლექტორი; 9. სკაგერაკი; 11. როლექსი; 12. შუნი; 14. ჟიგა; 16. ყაბალახი; 17. ლანჩხუთი; 19. ბურახი; 21. ოდესა.

**თარაზულად**: 5. სინოპეკი; 6. ინსბრუკი; 7. ველასკესი; 10. მიკოზი; 13. კვანზა; 15. ინჟენიუ; 18. თაგორი; 20. ასკანა; 22. ბურგუნდია; 23. ახალციხე; 24. ესპანეთი.

## პრინცმა ხუან იოანე ბაგრატიონმა და ქრისტინე ძიძიგურმა ჯვარი დაიწერეს



ქართველმა პრინცმა ხუან იოანე ბაგრატიონმა და ცნობილმა მოდელმა ქრისტინე ძიძიგურმა 4-წლიანი თანაცხოვრება ჯვრისწერით დააგვირგვინეს. დედოფალს მარიონელას კაბა ეცვა, რომელიც თვეების განმავლობაში იქმნებოდა.

სამეფო ქორწილი საქართველოში გაიმართა. ჯვრისწერა სვეტიცხოველში შედგა. წყვილს ჯვარი მამა გიორგი ზვიადაძემ დაწერა. ჯვრისწერას ბევრი ცნობილი ადამიანი ესწრებოდა როგორც საქართველოდან, ისე უცხოეთიდან. ია ფარულავა, ნინო სუხიშვილი, ქრისტინე იმედაძე, თამარ ივერი, ნინო სურგულაძე, ლადო ათანელი, უცხოელი გრაფები და გრაფინიები.

პრინცმა ხუან იოანე ბაგრატიონმა და მისმა მეუღლემ ქორწილი ესპანეთში გადაიხადეს, მაგრამ ჯვარის დაწერა საქართველოში გადაწყვიტეს. ჯვრისწერის შემდეგ სტუმრებიც და მასპინძლებიც შატო მუხრანში შეიკრიბნენ.

## მალიბუ ტულუშს ახალი კლიპი აქვს



„სიჭაბუკე“ – ასე ეწოდება სიმღერას, რომელზეც მომღერალმა მალიბუ ტულუშმა კლიპი გადაიღო.

მომღერალმა ჩიხლაძეების დუეტის „რა ყოფილა სიჭაბუკე“ სიმღერაზე ახლებური ვერსია შექმნა და ვიდეორგოლით ყველას კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ სიჭაბუკე წლებია სიყვარულისა:

– რა არის ცხოვრება? ბოლოს ყველას ტკბილი მოგონებები გვრჩება. სიჭაბუკის კლიპიც ზუსტად ამას გვიამბობს. იმედი მაქვს, ეს კლიპი ყველას გაალიმებს და აგრძნობინებს, რომ არ ღირს დარდით და სევდით ფლანგვა დროის. ბედნიერი იყავით ყოველი წამით და როცა ცუდ გუნებაზე იქნებით, ჩართეთ ეს კლიპი და გაიხსენეთ, რომ დროს უკან ვერ დავაბრუნებთ.

## ბოლივუდმა საქართველოში ახალი ფილმი გადაიღო



ბოლივუდმა საქართველოში ახალი ფილმი გადაიღო. ინდური კინემატოგრაფიის წარმომადგენლებმა ჩვენს ქვეყანაში ვიზიტისას აღნიშნეს, რომ საქართველოთი მოხიბლულები არიან და აქ კინოს გადასაღებად ყველაფერია – ზღვა, თოვლიანი მთა, ულამაზესი ბარი. ამიტომაც ბოლივუდმა ჩვენს სამშობლოში არაერთი ფილმი გადაიღო.

მორიგი ინდური ფილმი, რომელიც საქართველოში ბოლივუდმა გადაიღო, სულ მალე ეკრანებზე გამოვა. მანამდე კი მისმა შემქმნელებმა ინტერნეტში სარეკლამო ვიდეორგოლი გაავრცელეს, რომელსაც ბევრი ნახვა და მოწონება აქვს.

## ლაშა ჯუხარაშვილი: „ვიფიქრე, მსახიობებიც გავიფიცოთ-მეთქი“



რუსთაველის თეატრის მსახიობი ლაშა ჯუხარაშვილი კოლეგებს გაფიცვისკენ მოუწოდებს:

– ვიფიქრე, მსახიობებიც გავიფიცოთ-მეთქი. მერე გამეცინა და დავიკიდე. ..ეზე არ კიდიათ კინო და თეატრი?! ხელფასი კიდე ვაფშე ტეხავს რო დავწერო.

„ტაქსისტმა“ მწარედ დამცინა:

– ძმა, რო არ დამეზაროს და ვიმუშაოო, 1200 ლარს ჩვეულებრივ „ვაკეთებ“.

## სამგლოვიარო განცხადებები



ვაზისუბნის IV მიკრორაიონის, I კვარტლის, მე-13 კორპუსის მობინადრენი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მეზობელი, კეთილშობილების, კაცთმოყვარეობისა და უბრალოების განსახიერება (ხალხური გამოთქმა რომ არის – დიდთან დიდი და პატარასთან პატარაო, ზუსტად ისეთი), მეტროპოლიტენის ღვაწლმოსილი მუშაკი, ბატონი

### ელგუჯა არჩილის ძე სელემაშვილი

და გულწრფელად თანაუგრძნობენ ოჯახის წევრებს, ნათესავებსა და ახლობლებს.

**პანაშვიდი:** 7, 8 ივნისს.

**დაკრძალვა:** 9 ივნისს, 14 საათზე.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## ლევან აბაშიძე 55 წლის გახდებოდა



მსახიობი ლევან აბაშიძე წელს 55 წლის გახდებოდა. ის 29 წლის ასაკში აფხაზეთის ომში დაიღუპა.

კანის კინოფესტივალის მიმოხილვაში ფრანგულმა პრესამ ქართველი მსახიობი მარლონ ბრანდოს შეადარა.

ლევან აბაშიძე ჩამომავლობით ერეკლე მეორის პირდაპირი შთამომავალი იყო თეკლა ბატონიშვილის შტოდან. ლევან აბაშიძისთვის კინოგადაღებები პირველად მეშვიდე კლასში სწავლისას შედგა. ის ცნობილი ქართველი კინორეჟისორის ლანა ღოღობერიძის შვილთან ნუცა ალექსი მესხიშვილთან მეგობრობდა. როდესაც რეჟისორმა გადაწყვიტა გადაეღო ფილმი „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“, ნუცა გაჯიუტდა და დედას გამოუცხადა, თუ ფილმში ლევანს არ გადაიღებ, არც მე გადამიღოო. ასე აღმოჩნდა ლევან აბაშიძე ლანა ღოღობერიძის გახმაურებულ ფილმში, სადაც სანდროს როლი შეასრულა.

ამ ეპიზოდს მსახიობის დედა მანანა ხიდაშელი ასე იხსენებდა:

– დაინიშნა გადაღების დღე და ლევანმა გადაღების წინა ღამე თეთრად გაათენა ფანჯარასთან. იცით რატომ? ეშინოდა, ამინდი არ გაფუჭდესო.

პირველი ფილმის გადაღებების პროცესზე ლევან აბაშიძე ყოველთვის აღტაცებით ყვებოდა:

– „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“ იყო პირველი ფილმი, სადაც მივიღე მონაწილეობა და შევასრულე მთავარი გმირის შვილის როლი. ფილმის გადაღებისას ახლოს გავიცანი კინო, რომელიც თეატრთან ერთად ძალიან უყვართ ჩვენს ოჯახში. თუმცა პროფესიონალი მხოლოდ პაპაა, სოლიკო ვირსალაძე, დიდი თეატრის მხატვარი. ბავშვობაში მეხანძრეობა მინდოდა, რადგან სახანძროს ახლოს ვცხოვრობდი. ცოტა რომ წამოვიზარდე, ექიმობა მომინდა. ალბათ, იმიტომ, რომ ამ დროისთვის გატაცებული ვიყავი ცხენოსნობით, მოტოციკლით, თხილამურებით და ხშირად საავადმყოფოში დამტვრეული ვხვდებოდი. საბოლოოდ გადავწყვიტე, თეატრალურ ინსტიტუტში ჩამებარებინა. ბატონმა მიხეილ თუმანიშვილმა აიყვანა კურსი. მე განგების მადლიერი ვარ, რომ მასთან მოვხვდი. მთელი კურსი თეატრის ცხოვრებით ვცხოვრობდით. ბატონი მიშა, კინომსახიობთა თეატრის სპექტაკლებში გვათამაშებდა. უკვე მეორე კურსზე შევასრულე მთავარი როლი სპექტაკლში „ჩვენი პატარა ქალაქი“.

„ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა“ – ეს ფილმი ლევან აბაშიძისთვის საეტაპო აღმოჩნდა. რეჟისორმა გიორგი შენგელაიამ არჩევანი სწორედ მასზე შეაჩერა. გადაღებების დაწყებამდე მსახიობის ხიფათიანმა თავგადასავალმა არ დააყოვნა და ფეხი მოიტეხა. მიუხედავად იმისა, რომ ექიმებმა ორთვიანი წოლითი რეჟიმი დაუნიშნეს, ლევან აბაშიძემ ფილმში ნატკენი ფეხით ითამაშა:

– ბატონმა გიორგი შენგელაიამ ფილმ „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობის“ გადაღებამდე რამდენიმე ხნით ადრე მირჩია, წამეკითხა ოთარ ჩხეიძის რომანი „ბორიაყი“. მერე სცენარსაც გავეცანი და მივხვდი, მთავარ როლს ვითამაშებდი. გადაღების დაწყებამდე, უკვე მერამდენედ, ფეხი მოვიტეხე და ტრავმატოლოგიურ ცენტრში ამოვყავი თავი. ექიმს ვკითხე, დიდხანს მომიწევს წოლა-მეთქი? ორი თვე მაინცო. ორი თვე რა გამაჩერებდა? ამიტომაც მთელი ფილმის გადაღების მანძილზე ნატკენი ფეხით მომიწია თამაში. მაყურებელი, ალბათ, ვერც ხვდება, ზოგს შეიძლება უკვირს კიდეც, როგორ დადის ეს კაციო.

ლევან აბაშიძე 1992 წელს აფხაზეთის ომში წავიდა. მას ერთდროულად სამ ფილმში იღებდნენ, მაგრამ მას გადაღებები არ აინტერესებდა. მსახიობის მეგობრებმა ომში წასვლა გადაწყვიტეს, ლევანსაც მათთან ერთად უნდოდა წასვლა, მაგრამ ბათუში გადაღებებზე ელოდებოდნენ. თუ მსახიობი არ ჩავიდოდა, გადაღებები ჩაიშლებოდა. საბოლოოდ ლევანი ბათუმში წავიდა, ფილმში მონაწილეობა მიიღო და თბილისში დაბრუნდა. მას აფხაზეთიდან რამდენიმე დღით ჩამოსული მეგობარი შეხვდა, რომელიც მეორე დღეს ისევ აფხაზეთში ბრუნდებოდა. ლევანმა გაიგო, რომ ვერტმფრენში ერთი ადგილი იყო და მან თბილისი დაუფიქრებლად დატოვა.

ლევან აბაშიძე ომში წასვლის პირველივე დღეს დაიღუპა. მისი მეგობარი იხსენებდა: „მას პირველად ეჭირა ცხოვრებაში ავტომატი და პირველად იყო ომში. ლევანი თავისი ნებით წავიდა აფხაზეთში, რადგან ის თვლიდა, რომ უსამართლობა იყო, რომ ის ვარსკვლავის ცხოვრებით ცხოვრობდა, მისი თანამემამულეები კი სამშობლოსათვის იღუპებოდნენ!“

ლევანის პანაშვიდზე 12-13 წლის ბიჭები მივიდნენ. როცა მსახიობის დედამ ჰკითხა, თუ ვინ იყვნენ, ჩვენ ლევანის ძმაკაცები ვართო, უპასუხეს ბავშვებმა.

## შოთა რუსთაველის და ვაჟა-ფშაველას პრემიების მფლობელები ცნობილია




საქართველოს პრეზიდენტმა, გიორგი მარგველაშვილმა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატები დააჯილდოვა. შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი თეატრალური ხელოვნების დარგში თეატრის ნომინაციაში მხატვარი გოგი ალექსი-მესხიშვილი გახდა, მუსიკალურ ნომინაციაში პიანისტი ალექსანდრე კორსანტია, სახვითი ხელოვნების დარგში კი, რუსთაველის პრემიის ლაურეატობა მხატვარ გიორგი შხვაცაბაიას ერგო.

გოგი ალექსი-მესხიშვილს შოთა რუსთაველის პრემია მიენიჭა სპექტაკლისთვის „შობის მეთორმეტე ღამე ანუ როგორც როგორც გენებოთ“ სცენოგრაფიისა და მთელი შემოქმედებითი მოღვაწეობისთვის. პიანისტ ალექსანდრე კორსანტიას პრემია ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის, სერგეი რახმანინოვის, აარონ კოპლენდის ვარიაციებისა და მთელი შემოქმედებითი მოღვაწეობისთვის გადაეცა გიორგი შხვაცაბაიამ კი პრემია გმირთა მემორიალისა და მთელი შემოქმედებისთვის მიიღო.

რუსთაველის პრემიის ლაურეატებთან ერთად, გიორგი მარგველაშვილმა ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემიის მფლობელიც დააჯილდოვა. ამ პრემიის პირველი მფლობელი მწერალი გურამ დოჩანაშვილი გახდა. გურამ დოჩანაშვილს პრემია გადაეცა მის ერთ-ერთ უკანასკნელ რომანზე „ბრმადყოფილზე. და...“ და მთელი შემოქმედებითი მოღვაწეობისთვის.

საქართველოს ეროვნული პრემია გადაეცა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს ერეკლე გამყრელიძეს და მედიცინის მეცნიერებათა დოქტორ ბესიკ იაშვილს.

შოთა რუსთაველის პრემია სამ წელიწადში ერთხელ ხუთ ნომინაციაში გაიცემა. მაგრამ პრემია წელს, ხუთი წლის შემდეგ პირველად გაიცა. სპეციალურმა კომისიამ წელს რუსთაველის პრემიის მფლობელები ფარული კენჭისყრის გზით, მხოლოდ სამ ნომინაციაში გამოავლინა. ლიტერატურისა და კინოს დარგში კი ლაურეატები ვერ დასახელდნენ.

## ანსამბლი „სამება“ 10 წლისაა



საპატრიარქოს ანსამბლი „სამება“ 10 წლისაა. იუბილეს ანსამბლის წევრები 8 ივნისს არტ ჰოლის დარბაზში იზეიმებენ.

საიუბილეო სოლო კონცერტში მონაწილეობას მიიღებს ანსამბლის აღზრდილი 8 თაობა. საპატრიარქოს ანსამბლი „სამება“ უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით 10 წლის წინ შეიქმნა. უწმინდესის სურვილი იყო, საპატრიარქოს ახალგაზრდულ ცენტრში ახალგაზრდობას ესწავლა ქართული გალობა და ხალხური სიმღერები. ანსამბლს დაარსებიდან ხელმძღვანელობს გიორგი სუხიშვილი.

„სამებას“ საიუბილეო საღამოზე შესრულდება ხალხური და ქალაქური სიმღერები და საგალობლები. დაარსების დღიდან ანსამბლი „სამება“ სხვადასხვა კონცერტებისა თუ ღონისძიებების საქველმოქმედო საღამოების აქტიური მონაწილეა და თვითონაც მართავს საქველმოქმედო ღონისძიებებს იმ ადამიანების დასახმარებლად, ვისაც ეს ყველაზე მეტად სჭირდება.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## ნიკ ვესტი თბილისში კონცერტს გამართავს




მსოფლიო შოუ ბიზნესში ქალ ლენი კრავიტსად წოდებული ხელოვანი ნიკ ვესტი თბილისში კონცერტს გამართავს. კახი კანდელაკის სარძლო, ნიკოლოზ კანდელაკის რჩეული ნიკ ვესტი თბილისელი მსმენელის წინაშე 10 ივნისს წარდგება და ფერად და დაუვიწყარ საღამოს შესთავაზებს.

უნიჭიერესი ექსპრესიული ამერიკელი შემსრულებელი – ასე უწოდებენ ხელოვანს, რომელიც თბილისში თავის ბენდთან ერთად ჩამოვა. ,,დიდი სცენის დედოფალი“ – ასე მოიხსენიებს მას პრინცი.

ბასისტი, კომპოზიტორი და მომღერალი ნიკ ვესტი უკრავდა ისეთ ცნობილ მუსიკოსებთან, როგორებიც არიან პრინცი, ჯონ მაიერი, მარკუს მილერი, ესპერანცა სპალდინგი, მეისი გრეი... არაორდინალური გარეგნობით და საოცარი ექსპრესიით გამორჩეულმა ხელოვანმა თავისი მუსიკალური კარიერა გიტარაზე დაკვრით დაიწყო, თუმცა შემდეგ ბასი აღმოაჩინა, როგორც უფრო საინტერესო ინსტრუმენტი. ეს მაშინ მოხდა, როდესაც მაიკლ ჯეკსონის ერთ-ერთი კომპოზიცია მოისმინა. უნდა ითქვას, რომ კარგი ბასისტობის გარდა, ნიკ ვესტი კიდევ უფრო კარგი პერფორმერია. მისი ფერადი იმიჯი და მუსიკას აყოლილი მოძრაობები მაყურებელს კარგ ხასიათზე აყენებს.

თბილისში დაგეგმილი კონცერტი „რესპუბლიკაში“ გაიმართება და მასზე დასასწრები ბილეთის ფასი 60-250 ლარია.

### კალეიდოსკოპი



## დელფინები ვეშაპით გაერთნენ

ასეულობით დელფინმა თავი კალიფორნიის სანაპიროსთან მონტერეის ყურეში მოიყარა და კუზიანი ვეშაპი და მისი ნაშიერი ამოიღო მიზანში.

დრონიდან გადაღებულ კადრებში ჩანს, რომ ისინი ვეშაპის წინ დაცურავენ და ცდილობენ ჩაყვინთვა აიძულონ. როდესაც ვეშაპი ჩაყვინთავს, ამის შედეგად წარმოქმნილ ტალღებს დელფინები სასრიალოდ იყენებენ.

– როგორც ჩანს, ისინი ამით ნამდვილ სიამოვნებას ღებულობენ, ხოლო ვეშაპს ეს სრულიადაც არ აწუხებს, – განმარტავს ზღვის ბიოლოგი ნენსი ბლეკი. ის ვარაუდობს, რომ პატარა ვეშაპი დაახლოებით ოთხი თვის იქნება და ის, სავარაუდოდ, მექსიკის სანაპიროსთან დაიბადა. ის დედის გარშემო ცურავს და თევზის დაჭერას სწავლობს.

ბიოლოგის შეფასებით, ვეშაპების გარშემო დაახლოებით ათასხუთასამდე წყნარი ოკეანის თეთრგვერდა დელფინი იყო თავმოყრილი, რომლებიც ძირითადად აშშ-ის დასავლეთ სანაპიროსთან გვხვდებიან.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**7 ივნისისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.4511

ევრო — 2.8661

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2769

100 რუსული რუბლი — 3.9464

## ამინდის პროგნოზი 7 ივნისისთვის




# სერია თანამედროვე რუსული ბესტსელერი

**18 მაისიდან** ვიქტორ სუვოროვი **აკვარიუმი**




ეს წიგნი რუსული გრუ-ს საიდუმლო საქმიანობის შესახებ მოგვითხრობს.

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**

**25 მაისიდან**

დინა რუბინა

**პეტრუშკას სინდრომი**




„პეტრუშკას სინდრომი“ დინა რუბინას ყველაზე დრამატული რომანია. მისი ყოველი ახალი რომანი ბესტსელერია და გამოცემისთანავე ათეულობით ენაზე ითარგმნება.

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**

**1 ივნისიდან**

ვიქტორ პელევინი

**სამი ცუკერბრინის სიყვარული**




ფეისბუქი, გუგლი, უკრაინა, მომხმარებლის კულტი, ტოლერანტობა, ტერორიზმი, იმ ტრენდებს შორისაა, რასაც წიგნი ეხება.

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**

**8 ივნისიდან**

ევგენი ვოდოლაზკინი **ლავროსი**




სნეულთა განკურნების განსაცვიფრებელი უნარით დაჯილდოებული არსენი სიკვდილისგან ვერ იხსნის საყვარელ ქალს. სწორედ ეს იქცევა მისი ცხოვრების გარდამტეხ მომენტად.

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**


# ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

-გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
-ნერვულისისტემა, ხერხემალი, სახსრები
-კანის დაავადებები
-უროლოგია
-გინეკოლოგია

მისამართი -ქ. თბილისი, დ.ყიფიანის ქ. 2
ტელეფონი - 2 47 91 12
10:00 – 19:00 სთ. შაბათ -კვირის ჩათვლით




# სერია ნამდვილი დეტექტივი

**22 მაისიდან** ნაიო მარში **კაცი იწვა მკვდარი**




დეტექტივი როდერიკ ალეინი ინგლისის ერთ-ერთ რესპექტაბელურ სახლში „მკვლელობანას“ თამაშის დროს მომხდარ ნამდვილ მკვლელობას იძიებს. მსხვერპლი მონღოლური წარმოშობის რუსული სარიტუალო ხანჯლით არის მოკლული.

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

**29 მაისიდან**

ანდრეა კამილერი **წყლის ფორმა**




ზღვისპირა იტალიური ქალაქის უმდიდრესი ადამიანი და არაფორმალური მმართველი პიკანტურ ვითარებაში იღუპება. ყველა დაინტერესებულია ამ საქმით, რომის პაპით დაწყებული, პროვინციელი მოსამართლით დასრულებული.

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

**5 ივნისიდან**

გილბერტ ჩესტერტონი

**მამა ბრაუნის სკანდალური ამბავი**




მამა ბრაუნი ჩია, პროვინციელი კათოლიკე მღვდელია, არც რამე სისტემა გააჩნია ჩახლართული დანაშაულების გასახსნელად. ბოროტმოქმედების მხილება მისი ჰობია, რაც ძალიან კარგად გამოსდის.

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

**12 ივნისიდან**

როს მაკდონალდი **შიში**




ოთხმაგი მკვლელობა. ოთხი გარდაცვლილი. პირველ მსხვერპლს დანარჩენებისგან წლები აშორებს, მაგრამ მკვლელობა ერთი პიროვნების ხელით ხდება. მკვლელის ვინაობას, რამდენიც უნდა ეცადოთ, ვერ გამოთვლით, მხოლოდ ბოლო გვერდზე ამოიკითხავთ და გაოცდებით.

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

# პიკეს და შაკირას სახლი გაქურდეს



ბარსელონაში პიკეს და შაკირას საცხოვრებელ სახლში ქურდები შევიდნენ და დიდი ოდენობით ძვირფასეულობა წაიღეს.

პიკე ამჟამად ესპანეთის ნაკრებთან ერთად იმყოფება, შაკირა კი გასტროლებზეა გერმანიაში, ამიტომ სახლში არავინ იყო, როდესაც იქ ქურდები შევიდნენ. პოლიციამ უკვე დაიწყო გამოძიება და კამერების საშუალებით დამნაშავეებს, სავარაუდოდ, მალე გამოავლენენ.

არც პიკეს და არც შაკირას ჯერჯერობით ამ თემაზე კომენტარი არ გაუკეთებიათ.

# სილესენი ბარსადან წასვლას არ აპირებს



ბარსელონას ჰოლანდიელი მეკარე იასპერ სილესენი გუნდიდან წასვლას არ აპირებს. ბოლო პერიოდში ხშირად ვრცელდებოდა ჭორები იმის შესახებ, რომ სილესენი ბარსას დატოვებდა, რადგან მას მცირე სათამაშო პრაქტიკა აქვს და ძირითადად მხოლოდ თასის შეხვედრებზე გამოდის მოედანზე.

სილესენმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ ის ბარსელონაში ბედნიერია და ჭორები მისი წასვლის შესახებ სიმართლეს არ შეესაბამება. ჰოლანდიელმა გოლკიპერმა ასევე აღნიშნა, რომ მარკ ანდრე ტერ შტეგენი მასზე ძლიერი მეკარეა და ის იმსახურებს ძირითად შემადგენლობაში თამაშს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

# იუმორი



ჟურნალისტი გოგონა ფერმერს ეკითხება:

– რა იწვევს ძროხის ცოფს?

ფერმერმა ჟურნალისტი თავიდან ფეხებამდე შეათვალიერა და უპასუხა:

– იცით, რომ ბუღას ძროხასთან სექსი წელიწადში ერთხელ აქვს?

– ვთქვათ მასეა, მაგრამ ეგ რა შუაშია?

– და ის თუ იცით, რომ ძროხებს დღეში ოთხჯერ ვწველით?

– საინტერესო ინფორმაციაა, მაგრამ...

– თქვენ რომ დღეში ოთხჯერ მკერდი დაგისრისონ და წელიწადში მხოლოდ ერთხელ ... არ გაცოფდებოდით?

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– ქალთან ერთად მაღაზიებში სიარული საშინელებაა და, შენი აზრით, როგორ შეიძლება ის მამაკაცისთვის საინტერესო გახდეს?

– ქალების ტანსაცმლის განყოფილებაში პორნოფილმები თუ არა, ეროტიკული მაინც უნდა ჩართონ და ეს მამაკაცებს შეაყოვნებს, ხოლო ქალებს ააჩქარებს.

•••

მასწავლებელი მოსწავლეს ეუბნება:

– აბა, გიგი, მოგვიყევი, როგორ მრავლდება ჭიაყელა?

– დაყოფით.

– კონკრეტულად?

– ნიჩბით.

•••

უმცროს კლასებში ბიჭები გოგონებს თავში პორტფელებს ურტყამენ და მერე უკვირთ, ყველა ლამაზი გოგო რატომაა სულელი.

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– ვფიქრობ, მალე ჩვენს ქვეყანაში თუ ადამიანი საპენსიო ასაკს მიაღწევს, მას ამისთვის ჯარიმის გადახდა მოუწევს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ნავსადგური, ბალნეოლოგიური კურორტი ბულგარეთში; 2. კარნავალის დროს გათამაშებული მომენტალური ლატარია; 3. იტალიის ეროვნული გმირი; 4. საჭმელი სოკო; 5. პოპულარული ირლანდიური ჯინი; 7. მდინარე ფლორენციაში; 11. კახეთის კულტურულ-ადმინისტრაციული ცენტრი მეათე საუკუნეში; 13. დაბალი რანგის დიპლომატი; 15. ხელოვნური წყალსაცავი რაჭაში; 16. კუნძულოვანი სახელმწიფო წყნარ ოკეანეში; 18. იორდანიის დედაქალაქი; 19. ცალკეული სცენებისა და ნომრებისგან შედგენილი საესტრადო თეატრალური წარმოდგენა.

**თარაზულად:** 6. მილიონის ძველი ქართული სახელწოდება; 8. სააგიტაციო, სარეკლამო ნახატი; 9. ბრიტანული საინფორმაციო სააგენტო; 10. ქცევაში, ლაპარაკში გამოხატული დიდი წარმოდგენა საკუთარ თავზე; 12. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 14. ერბოში ჩახარშული ყველისგან მომზადებული აჭარული კერძი; 17. ავარიის შედეგად გემის, ტვირთის ზარალის შემფასებელი ოფიციალური ექსპერტი; 20. კასპიის ზღვის ძველი სახელწოდება; 21. ფულის ერთეული უკრაინაში; 22. დიდი წვეულება; 23. ძალზე ხელმომჭირნე, ძუნწი ადამიანი.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**

